

ନିର୍ଦ୍ଦେଶ



m-1350

୪୭

1935

ჩ ვ ე ნ ი ბ ე ზ ი

II

ეროვნული ცხოვრება, ოჯახი და სარწმუნოება როგორც ყოველგან, ისე ჩვენშიაც, ერთი მეორეზე მჭიდროდაა დაკავშირებული; სახელმწიფოსა და ოჯახის ურთიერთობა, ოჯახისა და სარწმუნოების დამოკიდებულება, ხელისუფლებისა და რელიგიის კავშირი, და აქედან გამომდინარე სახელმწიფოსადმი პიროვნების განწყობილება, ოჯახისა და საზოგადოებრივი ზნეობის საფუძველის დადგინება — მეტად რთული, მეტად მკვრივი და ისტორიის ასპარეზზე არც ისე იოლად გადასაყირაგებელი ან გასაპარტახებელი მოვლენაა.

ერის მიერ რომელიმე ახალი რელიგიის მიღება უბრალო ოფიციალური აღიარებით არა ხდება, და ისტორიულად ფენმოკიდებულ რელიგიას საუკუნეებით ახალთან ჭიდილი უხდება. — ამ ჭიდილშია ჩაბმული საზოგადოებრივი მორალიც და მთელი ის წყობა, რომელიც ძველს განმტკიცებული ჰქონდა. მაგრამ ძველი რელიგია არც ისე მარცხდება, რომ ახალს თავისი არ მოახვიოს თავზე, ზოგი ძველი რამ არ გაატანოს, და სინტეზში რაღაც ახალი არ დაიბადოს.

ქართველი ერის ცხოვრებაში ასეთი დიდი გარდატეხა მაშინ მოხდა, როდესაც ქრისტიანობამ დაიწყო გავრცელება და მთელ რიგ საუკუნეთა განმავლობაში გზას იკაფავდა. — ქრისტიანობასთან დაკავშირებით მოვიდა ქრისტიანული მორალი საზოგადოებისა და ოჯახისა, მორალი პიროვნებისა. შრავალ საუკუნეთა გასწრივ ეს ქრისტიანობა და მისი საზოგადოებრივი მორალი ხელმძღვანელობდა ქართველ ერს და თუ ქართველი ერი გადაგვარებასა და განადგურებას გადაურჩა, ამაში ქრისტიანობამ და ქრისტიანულმა ოჯახმა უუდიდესი როლი ითამაშა. დამოუკიდებელი ქართული ეკლესია თოთხმეტ საუკუნეზე მეტი თავს დაჰყოფინებდა ქართველ ერს; მის წილში წარმოიშვა ქართული მწერლობა, ქართული მხატვრობა, ხუროთმოძღვრება; მის ასპარეზზე გაიშალა საერთოდ ქართული კულტურა, — და პოლიტიკურად იგივე ქართული ეკლესია იყო ის ერთი ეროვნული დედაბოძი, რომელზეც ქართული ეროვნული სული ეყრდნობოდა. — ქართული ეკლესიის ხელისუფლების ფარგლები ამავე დროს იყო ქართული ეროვნული საზღვრებიც. ქრისტიანობა იყო

055-1350

საქართველოში არა მარტო რელიგია, არამედ ეროვნული კულტურა და პოლიტიკა, და იმ ხანებში, როდესაც საქართველო დაქსაქსული იყო, ქართული ეკლესიის წყალობით, იმ ენითა, რომელზეც ეპიშოპოსმა შეიწირა და ლოცვანი აღესრულებოდნენ, ქართველი ერი თავის განუყოფელ მთლიანობას და ეროვნულ ერთობასა გრძნობდა და განიცდიდა. მეფესთან ერთად იგი, იყო ქართველი ერის მეობის გამომხატველი. ამიტომ მან გადაიტანა უფშიძის ბრძოლა უამრავ შემოსეულ მუსულმან მტერთა წინააღმდეგ, — და როდესაც ერთმორწმუნე რუსეთმა მის მოსაპობას მიჰყო ხელი, იგივე ეკლესია იყო, რომ სასტიკად წინააღმდეგა მას, ოღონდ დამარცხდა. ის, რაც მაჰმადიანობამ ვერ უქმნა ქართულ ეკლესიას, მისი შესრულება სცადა რუსეთმა, რომელმაც ქართულ ეკლესიას უფლებანი აპყარა და პეტერბურგის სინოდს დაუმორჩილა, მაგრამ რუსეთის ბატონობის ხანაც ჩვენში არ არის იაყარდით მოფენილი და ხანის განმავლობაში არა ერთი და ორი სასტიკი ბრძოლა მომხდარა. რუსეთმა გაანადგურა ქართული ეკლესია ადმინისტრაციულად, გაცარცვა ნივთიერად, მაგრამ ვერ მოჰკლა მისი ქართული სული.

და ქართულმა ეკლესიამ განიმეორა თავისი ტრადიციული ნაბიჯი, როდესაც მან პირველმა, ისე როგორც წარსულში, სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას გაუსწრო და ეკლესიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. უფშესანიშნავი ისტორიული მოვლენაა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას წინ უძღოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა, რომელიც რევოლუციური წესით იქმნა გამოცხადებული.

ქართული ეკლესიის ეროვნული მნიშვნელობა ესმოდა ყოველს ეროვნულად მოაზროვნე ქართველს, მაგრამ ეს არ ესმოდა იმ ახალ მიმდინარეობას, რომელიც უკუღმართად შემოიჭრა ქართული ცხოვრების ასპარეზზე. ეს მიმდინარეობა იყო საერთოდ ნილილისტური, ყოველივეს უარისყოფი მოძრაობის, კერძოდ მარქსიზმის. სოციალისტურმა მოძღვრებამ ნიშანში ამოიღო რელიგია და იგი როგორც ხალხის დამაბნელებელი, ხალხის მომწამვლელი, დაუზოგველი ბრძოლის ცეცხლს მისცეს.

მართალია, რუსულმა ეკლესიამ მრავალგვარად დაამახინჯა ქართული ეკლესია, მაგრამ ამ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ რუსულ მთავრობასთან ერთად სოციალისტური მოძღვრების ბრძოლაც მომაკვდინებელი იყო და ეროვნულად ლახვარის ჩამცემი. ჩვენ სოციალისტებს სასაცილოდაც არ ყოფნიდათ ქართული ეკლესიის საკითხები და მისი მნიშვნელობა საკუთონისა და დრამის ფულის მნიშვნელობამდე დაიყვანეს, გააბითურეს, გააუბედურეს.

ჩვენ მოვესწარით ამ ბრძოლის ეპიზოდებს; ჩვენ ვნახეთ არა ერთი და ორი წვრილფეხა თუ სხვილფეხა მოქადაგე, რომელიც აბოლებული პაპიროსით ტაძარში ხალხს სოციალიზმზე აფიცებდა, — ჩვენ ისიც ვიცით, რომ ერთმა მოქადაგემ სასწაულმომქმედი ხატი ეკლესიის ეზოში გამო-

იტანა და რომ ხალხი მის უძღურებაში დაერწმუნებია, რევოლუციონად ტყვიები დაუშინა შემდეგის ძახილით: — აბა, თუ ძალა აქვს, მიქნას რამეო! — მაგრამ ჩვენ ვიცით ის კლასიკური პასუხიც, რომელიც მოხუცმა გლეხმა გაბედულად სთქვა: — შეგილო, მაგაზე მეტს რაღას გიზამს, გადაურევიხარო!

სკოლაში და გარედ, საზოგადოებაში და კრებებზე, ოჯახში და ჯგუფებში სოციალიზმი ბლღიერს ადენდა სარწმუნოებას, პრესაში ტყავს აძრობდა.... იმის მაგივრად, რომ დახმარებოდა რუსული თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმის მაგივრად, რომ, თუ ეს საჭირო იყო, მის წესრიგში კეთილი სურვილით შესწორება შეეტანა, მის ნაკლთა გამოსწორებაზე ეზრუნა, — გამოცხადდა მთელ ფრონტზე ბრძოლა ეკლესიისა და ღმერთის წინააღმდეგ, დაჰკივლეს ხუცესებს, თავს დაესხნენ ეკლესიას.

და რით დასრულდა ეს ბრძოლა?! დასრულდა მით, რომ ქართულმა ეკლესიამ გაიმარჯვა: — თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა!

დასრულდა მით, რომ ბოლშევიკებმა გაიყვანეს საქართველოს მღვდელ მთავარი დასახვერეტად და მან ბრწყინვალედ დაღადაჰყო: — სული ჩემი ღმერთს, გული ჩემი ერს და მძორი ჩემი თქვენო!

დამოუკიდებელ საქართველოში, მარქსისტული მთავრობის დროს, ქართული ეკლესია იყო მიგდებული, მიტოვებული, გაუბედურებული. და იყო ზეიმი მარქსისტულ-სოციალისტურ ბანაკში — თითქო უსაშინელესი მტერი გაენადგურებოთ, — და როდესაც ეს მენშევიკური მარქსიზმი თვითონაც გაუბედურდა, ქართველ ხალხთან ტრადიციულად კვლავ დარჩა ქართული ეკლესია, მისი ხელმძღვანელობა, რომელიც ქირში მუდამ თავის ხალხთან ერთად ყოფილა, მასთან ერთად უბრძოლია.

და განა გასაკვირია დღეს, რომ ბოლშევიზმის მიერ მოტანილი საზიზღლარი ბეზბოჟნიკობა, ქართულად სიტყვა უღმერთო“-თი ითარგმნა და უღმერთო კი ქართულად არის მზეცი, პირუტყვი და არა ადამიანი, და რომ „უღმერთობმა“ ვერ გაბედეს ჩვენში ისეთი ბრძოლა, როგორსაც ისინი რუსეთში ეწეოდნენ! ჩვენშიაც დაანგრიეს ეკლესიები, დავით და კონსტანტინეს თავის ქალანი ერთმანეთს დაუჯახუნეს, მაგრამ ქართველი ხალხის თვალში და გულში ეკლესია ვერ გაამასხარავეს, ვერ გამოაცალეს მას საფუძველი; ძალადობამ ვერ უშველა, ხიშტმა ვერ შესძლო მისი გახვერეტა, ტყვია არ მიეკარა მის სულს.

ქართულმა ეკლესიამ ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მოვალეობანი და ქათალიკოსის პროცესზე ეს მებრძოლი ეკლესია პირნათლად წარდგა ღვთისა და ერის წინაშე. და თუ ვინმე იბრძოდა და იბრძვის საქართველოში, აქ არის ქართული ეკლესია, რომლის წინ არ ჩამქრალა წმიდა სანთელი. და დღეს იმ ეკლესიაში მიდის სწორედ ის ხალხიც, ვინც მას უწინ შეურაცხებას აყენებდა და გმობდა.

ჩვენ ვყოფილვართ რევოლუციის დროს სიონში, და ჩვენ იქ გვინახავს



მხოლოდ რამოდენიმე მოხუცი; ჩვენ ვყოფილვართ კვირის წირვაზე ქვა-
შეთში და იქ გვინახავს მხოლოდ ათეულები. და დღეს კი ქალაქის ეკლესიებიც გაქედლია ხალხით, აქ მოდის ის ხალხიც, ვინც მას ჰგმობდა! ეს არაა მართა რელიგიის საკითხი, — აქ ხალხმა იგრძნო და დაინახა ის დიადი როლი, რომელსაც ქართული ეკლესია ეროვნულ ასპარეზზე მუდამ ეამს ეწეოდა, — გაიგო და ჩასწვდა, რომ ქართული ეკლესია არის ჩვენი ეროვნული მეობის ერთი გამომხატველი. ქართულმა ეკლესიამ აქაც გაიმარჯვა. მან გაიმარჯვა მენშევიკურ მარქსიზმზე, მან გაიმარჯვა ბოლშევიკურ მარქსიზმზე! დაამარცხა ორივე მტერი რელიგიის ასპარეზზე, დაამხო ეროვნულ არენაზე, და განაგრძობს ბრძოლას ოჯახის სარბიელზე! და ჩვენ, ამ ბრძოლას მოწყვეტილნი, მთელი ჩვენი სულით და გულით ვართ ქართულ ეკლესიასთან, მოწიწებით მივესალმებით მას და ღალადით აღთქმასა ვსდებთ, რომ მომავალ ეროვნულ საქართველოში მას მიენიჭება მისი საპატიო ადგილი და იგი კვლავ გახდება ფუძედ ჩვენ ეროვნულ ცხოვრებისა. ეროვნულ ქართულ სახელმწიფოში ეროვნული ქართული ეკლესია სათანადო ადგილს დაიჭერს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უგულოდ ან მტრულად მოვეკიდებით სხვა დანარჩენ რელიგიას, როგორცაა მაჰმადიანობა, გრეგორიანულიობა, კათოლიკობა, მოსეს რჯული. არა! ქართველ ხალხს არც ძველად ჰქონია უცხო რელიგიისადმი მტრობა და დევნის პოლიტიკა. ჩვენ განვაგრძელებთ დავით აღმაშენებლის გზას, რომელიც სხვა რელიგიებსაც ისეთივე პატივით ეპყრობოდა, როგორც მართლმადიდებლობას.

ჩვენ აღვნიშნეთ ის ისტორიული ფაქტი, რომ ქართულმა ეკლესიამ ეროვნულ ფრონტზე უსაძაგლესი მტერი დაამარცხა და დღეს განაგრძობს ბრძოლას ოჯახის სარბიელზედა-თქო. ოჯახი და ეკლესია ერთი მეორესთან ყველგან და ჩვენშიაც მტკიცედაა დაკავშირებული და საზოგადოებრივი მორალი მათ საფუძველზეა აგებული.

სოციალური ცხოვრების განვითარებაში ოჯახი არის ის დაწესებულება, რომელიც ყველაზე უფრო კონსერვატორულია, რომლის საფუძველი მრავალი საუკუნით იჭედება. აბა, ისტორიულად თვალი გადავავლოთ ამ საქმეს და უტბად დავინახოთ ის სიმტკიცე, რომელსაც ოჯახის ტრადიცია და ადათი ინახავს. ოჯახი ქართულად კერაა და სახლი, რომელიც დედაწულისაგან შესდგებოდა და შესდგება. ჩვენი ისტორიის უფუძველეს ხანას ასეთი ოჯახი ახსოვს მხოლოდ და დღესაც ასეა; ძველად ალბად იგივე იყო, მაგრამ მეთუ საუკუნის ქართული წყაროები გვიჩვენებენ, რომ ოჯახი იმ ხანად იქმნებოდა ისე, როგორც ეხლა. იყო ქალის თხოვა და შერთვა, მოტაცება ჩვენს ისტორიას არ ახსოვს, ან იგი არის ატავიზმი; თხოვა-შერთვაში კი გადამწყვეტ როლს მშობლები თამაშობდნენ; დანიშვნა ჩვეულებრივი იყო და მზითევიც. (მზითევის შესახებ ჩვენი ისტო-

რია მერვე საუკუნეს მოიხსენებს). ვიცი თ ისიც, რომ ეკლესია ამ დარგში დიდ როლს თამაშობდა, იგი ჰქმნიდა ოჯახის მორალს, ებრძოდა მრუშობასა და სიძვას, ხარკებს და სხ. მერვე საუკუნის ტრადიცია მეოცე საუკუნეს აღწევს და ესაა უბრალო და მარტივი მაგალითი იმისა, თუ ოჯახი რაოდენ დაცულია, თავშენახულია, რამდენად ძნელი შესარყევი და გადასაბრუნებელი. დაუსრულებელ უბედურობათა განმავლობაში ქართულ კერასაც მრავალი უბედურება თავს გადაჰხედია, მაგრამ არსებითად მას გადაუტანია ყველაფერი; ალბად ბევრი კერა მოიშალა ამ ომში, ბევრი სახლი დაინგრა, მაგრამ ოჯახი საბოლოოდ გამარჯვებულნი გამოვიდა და ქართული ოჯახი ჩვენ დრომდე მოვიდა.

მაგრამ აქ მას მოელოდა კიდევ ერთი ხიფათი, კიდევ ერთი ფათერაკი — ეს იყო სოციალისტური თუ მარქსისტული თავდასხმა. რა არის ოჯახი? — უბრალო ეკონომიური ერთეული! — იყო პასუხი. რა არის ოჯახი? დასაზღვრე ფეოდალურ ტრადიციების მატარებელი და კლერიკალურ-კონსერვატორული დაწესებულება. რა არის ოჯახი? — გაყიდვა და ყიდვა რძალისა და სიძის! — ძირს ოჯახი, გაუმარჯოს თავისუფალ სიყვარულს! საზოგადოება აღზრდის ბავშვებს, სახელმწიფო გახსნის ბაგას, სადაც ბავშვები დაიზრდებიან. გაუმარჯოს თავისუფალ სიყვარულს!

სოციალისტური და მარქსისტული თავდასხმაც განიცადა ქართულმა კერამ და ეს ბრძოლა ბოლშევიზმმა ლოდიკურ დასკვნამდე მიიყვანა: — მან კანონით გააფუქსავატა ცოლქმრობა, უარჰყო ოჯახი, მოსპო ჯგერის წერა, მაგრამ სინამდვილეში ქართულმა ოჯახმა შემოიკრიბა თავისი ტრადიციული ძალა და ბოლშევიზმსაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. ბევრი ოჯახი დაირღვა ალბად, ბევრი კიდევ დაიქცევა, მაგრამ ჯანმთელია საერთოდ ოჯახი, მისი სული და მას ვერ მოშლის ვერავითარი კანონი, — ეს კარგად იგრძნეს ბოლშევიკებმა, რომელნიც ერთი მეორესაგან შალულად ეკლესიაში ჯვარს იწერდენ, და ალბად ეხლაც იწერენ. ეს კარგად იგრძნეს ბოლშევიკებმა მაშინ, როცა ტფილისის ქუჩებში ტიტლიკანა რუსის ქალები გამოჩნდნენ საზოგადოებრივი და ოჯახური მორალის დამანგრეველი მანფესტაციით, და რომელთაც ქუჩაში გამგლევი ქართველობა ზიზღით უყურებდა და მორალურად აფურთხებდა. — ბოლშევიზმმა ყველაფერი ისეთი ჰქმნა, რამაც ჩვენში უფუდიდესი, საღი, ჯანმრთელი და კეთილი რეაქცია გამოიწვია და ეს რეაქცია ეროვნულ ფრონტზე გაშლილი, ოჯახსაც აღადგენს და დაუბრუნებს მას მის უპირატესობას, დააყენებს საკუთარ ფეხზე.

ქართულ ოჯახს მრავალი დაპყრობა განუცდია, მძიმე ჯვარი მას მაინც უტარებია და გამარჯვებული გამოსულა. ვერც ეხლა დაამარცხებენ მას და გამარჯვებულს მომავალი ეროვნული საქართველო მოუვლის და უპატრონებს როგორც თვალის ჩინს, ვინაიდან ოჯახი ერის ფუძეა და მაცოცხლებელი.

შ. შალვაკელიძე

ჩვენი პასუხი

პირველი საკითხი, რომელიც ბუნებრივად ისმება, არის შემდეგი: — რატომ ვსტოვებთ სოციალდემოკრატიულ პარტიას?

ქართველი ხალხი თუ სოც.-დემოკრატიას მისდევდა, არა იმიტომ, რომ ამ პარტიის პროლეტარული იდეოლოგია მისთვის გასაგები ან მისაღები იყო, არამედ იმიტომ, რომ ამ პარტიამ ხალხს გადაუსროლა ისეთი ლოზუნგები, რომელთა განხორციელება სინამდვილეში შეუძლებელი იყო. და აი, როდესაც ეს პარტია სახელმწიფოს სათავეში მოექცა, იგი იძულებული გახდა უკან დაეხია და ნაციონალიზაციის თუ მუნიციპალიზაციის მაგივრად, მიწაზე კერძო საკუთრება დააწესა, მაგრამ ისეთი, რომელიც არც ერს აკმაყოფილებდა და არც ბერს.

უფრო უარესი ამბავი დატრიალდა ეროვნულ საკითხში. ეს მარქსისტული პარტია, რომელიც, იყო დრო, ეროვნულ საკითხს სულაც არა სცნობდა და ყურადღებას არ აქცევდა, რადგან ამ პარტიის ზოგი იდეოლოგის აზრით, ეროვნული საკითხი მხოლოდ სოციალიზმის დროს შეიძლება გადაიჭრესო, როცა ცხოვრებამ მოითხოვა და ძალით გადაიჭრებინა იგი, ამ პარტიის ხელმძღვანელები იმაზე სტიროდნენ, რომ ჩვენ, სოციალისტებმა სახელმწიფო უნდა ვაშენოთ, როდესაც ჩვენის შეხედულებით, სახელმწიფო უნდა მოკვდესო. მაგრამ იკადრეს და დაიწყეს აშენება ისე, როგორც ეს შეეფერებოდა არა ჩვენი ცხოვრების პირობებს, არამედ სოც.-დემ. პარტიის ხელმძღვანელთა შეხედულებებს. მთელი მათი მოღვაწეობა გამოიხატა ექსპერიმენტების გაკეთებაში, და როგორც არა ერთხელ წერებულა წითელ დროშაზე: გაუმარჯოს სოციალდემოკრატიულ რესპუბლიკასო!, რაღაც ამდაგვარი რესპუბლიკის შექმნის ცდაში. რასაკვირველია, ეს ცდა დიდი უბედურობით დასრულდა, და ეს იმის შედეგი იყო, რომ მარქსისტული შეხედულებანი და სახელმძღვანელო აზრები ქართველი ერის ცხოვრების პირობებს სრულიად არ შეეფერებოდა. აი მაგალითად სამხედრო საქმე! იმ დროს, როდესაც ჩვენი ერის საშინაო და საგარეო ინტერესები მოითხოვდნენ ნამდვილი ჯარის შექმნას, ბრძოლის-უნარიანი ძალის გამოჭედვას, ჩვენი მეთაურები ჯერ გამოეკიდნ საყოველთაო მილიციის აზრს, მაგრამ როცა თვით ცხოვრებამ მოითხოვა სამხედრო ძალა, მერმე შეხანხლეს რაღაც უცნაური დაწესებულება, რომელსაც ჯერ წითელი გვარდია ერქვა და მერმე სახალხო.

და რომელიც გამოსადეგი იყო მხოლოდ გაბატონებული პარტიის გამაგრებისათვის. და ეს ცდა ყველაზე უფრო საშინელი იყო, ვინაიდან მან ჩვენი ქვეყნის დაღუპვაში ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა...

ამდგავარივე იყო ყველა სხვა ცდაც ცხოვრების ყველა დარგში, განსაკუთრებით კი სოციალ-ეკონომიურ ასპარეზზე.

ქართველი მარქსისტები გატაცებული იყვნენ მარქსიზმის დოკტრინებით, ქართული ცხოვრების პირობებისათვის უნიადაგო იდეებით და როდესაც ქართული ცხოვრება ამ იდეებს ვერ იტევდა და ვერ ახორციელებდა, სოც.-დემ. მას ძალით ატარებდა და ცხორებას ხელოვნურ კალაპოტში ათავსებდა. ამის შედეგი იყო სრული დამარცხება და ერის უბედურებაში გადაყარვად.

ჩვენ ამ წარსულიდან ბევრი დასკვნა გამოგვყავს, მაგრამ მათში მთავარი ისაა, რომ მარქსიზმი საქართველოსათვის დამღუპველი იყო, და სოც. ექსპერიმენტებმა სახელმწიფოს დაფუნებასა და დამაგრებას თავიდანვე ძირი გაოუთხარეს და სახელმწიფოს მაგივრად შეჰქმნეს ისეთი ზუზულა, რომელიც პირველი მტრული შებერვისათანავე დაინგრა. ამიტომ ჩვენ ეხლა ვამბობთ: რომ სოციალური, ეკონომიური და სხვა ასეთი ეროვნულს უნდა ემორჩილებოდეს, ეროვნული უნდა ფლობდეს ყველაფერს და ჩვენ მუშაობაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. თუ ეს ინტერესები მოითხოვს, ჩვენ მტკიცედ და რწმენით გადავდგამთ ისეთ ნაბიჯსაც, რომელიც ძველ პოლიტიკურ უარგონზე რეაქციონურად და კონტრრევოლუციონურად იყო გამოცხადებული. ჩვენ ვართ და ვიქნებით რეალისტები და გავაკეთებთ ამას, რაც ჩვენი ერისათვის საჭიროა.

სოც.-დემ. ხელმძღვანელობა ვერასოდეს ვერ ამალდა ერის ინტერესების სიმალემდე და ვერ შეიგნო ეროვნული სახელმწიფოს საჭიროებანი. აქაც, იმ დიდი უბედურობის შემდეგ, რომელიც თავს დაატყდა ქართველ ერს მათი მოღვაწეობის ცალმხრივობისა, პარტიულობისა და უცნაური ექსპერიმენტების შედეგად, — აქაც კი, ამ გარდახვეწილობაში და ლტოლვილობაში, სოც.-დემ. ვერ ამალდა ეროვნულ დონემდე და მის მუშაობაში კვლავ პარტიული პრინციპები დარჩა გაბატონებული. ამას გვიჩვენებს და გვიმტკიცებს ჩვენ მთელი მათი მოღვაწეობა ევროპაში. ეს ყველამ იცის და სიტყვას არ გავაგრძელებთ. ერთი ყველასათვის ცხადია: პატრია (სამშობლო) სოც.-დემოკრატიისათვის იყო და არის პატრია, — და თავის პარტიის ბატონობის გარეშე მათ საქართველო ვერც წარმოუდგენიათ. ჩვენ ვადაჭრით უარყოფთ ამ დებულებას და აღვიარებთ პირიქით: — პატრია უწინარეს ყოვლისა!

სოციალდემოკრატიათ თავისი როლი დაასრულა საქართველოში, აქაც ისტორიული თვალსაზრისით, ალბად ზოგი დადებით მხარეებიც აქვს, — მაგრამ დღეს ჩვენი ერის ინტერესები მოგვიწოდებენ უარყოფთ ის ვნა,



რომელზეც სოც.-დემ. იდგა და რომელმაც ჩვენი ერი უფსკრულში გადა-
ჩეხა. და როცა დღესაც გვირდებიან მომავალში რაღაც უცნაურ, გაურ-
კვეველ, არნახულ და საკუთარი ოცნების ნაყოფ „სახალხო(!) დემოკრა-
ტიას“; როდესაც ბ-ნი ნ. ჟორდანიას გვიმტკიცებს, რომ საქართველოს რეს-
პუბლიკა შენდებოდა პარლამენტარიზმის უარყოფაზე; როდესაც იგი
ესლა გვაწვდის მის ფანტაზიას („შრომის რესპუბლიკის ბაზად აღიარე-
ბა“!) და პარიზის კომუნას სამაგალითოდ გვიხდის, — მაშინ ჩვენ ხმა-
მალლა უნდა ვსთქვათ: — კმარა, ბატონებო, ამდენი ფანტაზია! კმარა ეს
დაუსრულებელი ექსპერიმენტები, — ჩვენ ნებას არ მოვცემთ ქართველი
ერი კვლავ ატყუილოთ; ჩვენ ნებას არ მოვცემთ კვლავ გახადოთ იგი თქვე-
ნი დოგმების საცდელ მინდვრად — წარსულმა ყველაფერი გვაჩვენა ჩვენ
და ესლა ჩვენ მივდივართ ჩვენი საკუთარი გზით, ჩვენი საკუთარი დრო-
შით. და როდესაც ბ-ნი ნ. ჟორდანიას თავის წიგნაკში — „დემოკრატია“ —
გვეუბნება, რომ იგი იბეჭდება ახალგაზრდობისათვის სახელმძღვანელოთ
„ძველი მიმავალი თაობის გასაცნობათ, გასაგებათ და მის მიერ დაწყებუ-
ლი მუშაობის გასაგრძელებლათ“-ო, ჩვენ მას გულწრფელად ვუბასუ-
ნებთ: — კეთილად მგზავრობა თქვენ, ბატონებო, მაგრამ ჩვენ თქვენთან
ალარა ვართ; ჩვენ არც თქვენი მუშაობის გამგრძელებელი გახლავართ.
ჩვენ მივდივართ ახალი გზით და ამ გზას გვინათებს თვით ქართველი ერი!

პრ. გვეტაძე

ბორდო, 1935 წ.

ეროვნულ ძალთა დარაზმულობისათვის

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგად და მისი მო-
პოების ბრძოლის მიზნით, უცხოეთში გადმოხვეწილ ქართულ პარტი-
ათა ხელმძღვანელობა გამოქცეული მთავრობის გარშემო დაირაზმა. ეს
მოვლენა, უსათუოდ საღი და ბუნებრივი დაჩაგრული ერის პირობებში,
ბოროტ იარაღად გადაიქცა სოც.-დემ. პარტიის მეთაურობის ხელში,
რომელიც მთავრობასაც ფლობდა და პარტიის ავტორიტეტით აღჭურ-
ვილი (და სახსარით შეიარაღებული), ქართულ პარტიათა ვაერთიანე-
ბულ ხელმძღვანელობას თავზე დააჯდა, თავისი საკუთარი პარტიული
პოლიტიკა ეროვნულ პოლიტიკად გამოაცხადა და მის მიერ შექმნილი
ე. წ. ეროვნული ცენტრი თუ ფრონტი კი დაიმონა და თავის მაჩანჩალად
გაიხადა. — საქართველოს სოც.-დემ. საზღვარგარეთელი ბიურო იყო
მთავრობა და ეროვნული ფრონტიც; ფაქტიურად ეს ბიურო, ანუ უკედ,
ამ ბიუროს პრეზიდიუმი ბატონობდა როგორც მთავრობაზე, ისე ეროვნ-

ნულ ფრონტზე; როცა მთავრობას პასუხს სთხოვდენ, — ბიუროზე მიუთითებდენ; როცა ბიუროს მიმართავდენ, — მთავრობასთან ავზავნიდენ (განმეორებულია კომინტერნისა და საბჭოთა მთავრობის ამბავი!). ბიუროსა ანუ მის პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ასეთმა ურთიერთობამ არა ერთი და ორი მარცხი, გამოუსწორებელი ზიანიც მიაყენა ქართულ საქმეს და ბრძოლა წააგებია. ამ ვითარებამ ორგვარი მოვლენა გამოიწვია, — ორივე დამშლელი და დამარღვეველი: ერთი მხრივ ეროვნული ფრონტის, მეორე მხრივ სოციალდემოკრატიული პარტიის. ჩვენ არ ვეხებებით აქ ამ პროცესს, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა და არც მის ისტორიას ვსწერთ. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ სინამდვილეს, რომელმაც ჩვენს თვალს წინ განვლო და ვიხსენებთ იმ მოვლენას, რომელიც ე. წ. ეროვნულ ფრონტში ნაციონალდემოკრატიების შესვლა-გამოსვლის კომბინაციებში და წაჯექ-უკუჯექობაში გამოიხატა. ეროვნული ფრონტი არა ეროვნული ბრძოლის ფრონტი შეიქმნა, არამედ პირადი უზრუნველყოფის მოთხოვნილებათა და ბნელ ჩხირკედლობათა მისწრაფებების დამაკმაყოფილებელი გახდა. აღარ იყო პოლიტიკა; აღარ იყო მორალი; აღარც ბრძოლის სურვილი. იყო თვითნებობა ხელმძღვანელობისა; იყო დაბეზღება და ჯამიტლაკობა; იყო სრული უმოქმედობა. ამიტომ არ გვიკვირს, რომ თვით ამ ფრონტში შემავალთაც, არა-სოციალდემოკრატიებმა, ვეღარ გაუძლეს ამგვარ სიმახინჯეს და აჯანყდენ, — გაჩნდა ფრონტში ოპოზიცია, რომლის არსებობამ ამ ფრონტის ფორმალური მნიშვნელობა არარაობამდე დაიყვანა და თუ გარეგნულად ეს ეროვნული ფრონტი დღეს მაინც არსებობს, — იგი მხოლოდ პოლიტიკურ გვამს წარმოადგენს და უკვე სუნიც ასდის. ასე დაასრულა ბ. ნ. ჟორდანიამ თავისი „ეროვნული მოღვაწეობა“ და „ეროვნული ბრძოლა“, რომლისთვისაც მისი გული არასოდეს არ ატოკებულა, რომელიც მის სულში ნაპერწკლებს არ აფრქვევდა, ვინაიდან მას სხვა უყვარდა, სხვის ეტრფის, და ეს სხვა „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდი“-ა, რა ლოზუნგიც დღესაც მის კეცს, გაზეთ „ბრძოლის ხმას“ ამშვენებს, — ესაა მისი მიზანი, და არა ერი, — ეს უკანასკნელი მხოლოდ პასალაა, ცომია „პარიზის კომუნის“ ჩვენში შესაქმნელად და კვლავ ახალი ექსპერიმენტების მოსახდენად.

ბ-ნი ნ. ჟორდანიას სოც.-დემ. პარტიის მეთაურადაც ითვლებოდა, და მან ეს პარტია ზემოაღნიშნული და მრავალ სხვა მიზეზის გამო საკუთარი ხელით დაანგრია და მიმოფანტა. ამის შესახებ უკვე ბევრი დიწერა და აქ აღარ გვაინტერესებს. აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტს, რომ სოც.-დემ. პარტია დღეს სამ ჯგუფადაა გახეთქილი და მას მრავალი კიდევ ჩამოშორდა, და მოველით მის სრულ განიაგებასაც.

იმ გარდატეხათა შედეგად, რომელიც ქართულმა ბედმა ამ უკანასკნელ ხანაში განიცადა, თვალხილულათთვის აშკარა შეიქმნა ის ბორო-

ტება, რომელმაც ქართულ ცხოვრების გზაზე ერთ დროს ფეხი მოიმაგრა, — და თვალხილულნი ამ გზიდან გადადგენ.

ძველ თაობას კირი უკვე შეჩვეული ჰყავს, მის მეორე არსებადაა იგი გადაქცეული და ერის წინაშე ცოდვებით დატვირთული სამარესაკენ მიექანება, — მათი მომსწრე ახალი თაობა თავის მცირე ცოდვებს ინანიებს და ეხლანდელი თაობა კი, ყოველგვარ დანაშაულობისაგან თავისუფალი, ასევე თავისუფლად უარჰყოფს იმ წარსულს, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიუღია. ამ ნიადაგზე წარმოიშვა „ორნატი“.

მაგრამ უფრო ადრე, იმ თაობამ, რომელიც ზემოდაღნიშნულ მცირე ცოდვასაც აშორებული იყო, შეჰქმნა „თმთარი ბიორბი“, — გაბედულად უარჰყო რა ძველი მიმართულებანი, ახალთა ძიებანი დაიწყო და იდეოლოგიურ გზის გაკაფვას შეუდგა. მას მთავარი და არსებითი უკვე დროშაზე უწერია და ესაა: **საქართველო უწინარეს ყოვლისა, რაც ერის უპირველესობას ამტკიცებს და კლასთა ბრძოლის თეორიებს უარჰყოფს, ყველა ინტერესს ერის უზენაესობას უმორჩილებს.**

ძველი ქართული პარტიები გაყინულ არიან, იდეოლოგიურად გაშეშებული და მხოლოდ მათი, ჯერ კიდევ სიცოცხლით აღსავსე ელემენტები არღვევენ რა პარტიულ ბჭეთ, ახალ გზებს ეძებენ და მასზე მიმდგარი არიან.

ქართველი ერის ისტორიის განაწამებ მსვლელობაში მთავარი უკვე მიგნებულია; გზა აღმოჩენილია. კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდობისათვის აღარ არსებობს პარტიული ჩარჩო, აღარ სწამს მას პარტიის წმინდა დოგმები და ყველაზე მაღლა ისიც ერს აყენებს.

საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიის „სამშობლოს“ ჯგუფი, რომელიც საერთო ფრონტში შედის, ამბობებულია, ხოლო მეორე ფრთა „საქართველოს გუშაგი“, რომელიც ე. წ. ეროვნულ ფრონტში არ შედის და განუწყვეტელ ოპოზიციას აწარმოებს, — თავისთავად გამიჯნულია, და თუმცა იდეოლოგიურად რა ცვლილება განცადა არა სჩანს, მაგრამ ეროვნულად მოაზროვნე ძალთა მოედანზე სდგას და ეროვნული იქაც პირველ რიგში წარმოდგენილი.

ჩვენ აქ უნდა მოვიხსენოთ აგრეთვე ის ძალები, რომელნიც ნაციონალისტურ ფრონტზეა თავმოყრილი — „კლდე“ — და ისინიც, ვინც ამ ხანის განმავლობაში პარტიებიდან გავიდნენ, — და საერთოდ ყველა ის უპარტიო ხალხი, რომლისთვისაც გარდა ეროვნულისა, სხვა არც ერთი დებულება არ არსებობს.

ამგვარად, სხვა და სხვა მხარედან მთელი ეროვნული ჯარი გროვდება და დარაზმების პროცესი უნდა დაიწყოს.

ჩვენ წინ სრულიად გარკვევით სდგას საკითხი ეროვნულ ძალთა დარაზმულობის შესახებ. ეროვნული ბრძოლის წარმოების ლოლიკა მთელი თავისი აუცილებლობით ეროვნული ძალების შეყრილობასა და დარაზმ-

ვას მოითხოვს. რასაკვირველია, ასეთი შეყრილობა და დარაზმვა მხოლოდ ნათესავ და მეგობარ ძალთა შორის შეიძლება, — და ეს ნათესაობის მუხლი არც მეტად შორს მიდის. სისხლით ნათესავეები ახდენენ ხოლმე ასეთ შეყრილობას.

აქ გვახსენებდა ძველი ქართული ჩვეულება, რომელსაც სწორედ შეყრილობა ერქვა. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენამდე მოღწეული უძველესი საბუთი — ასეთია 1675 წლისა, რომლითაც ძმები ერთმანეთს ასეთ ფიცს უღებენ: —

”ესე ფიცი და პირობა მოგეც... ასე და ამა პირსა ზედან: ძმობისა და სახლის კაცობის პირობაზე ვიყო შენთვინ კარგი და კარგის მდომი... ჩვენი სახლი არ მოიშალოს და არ გაიყაროს, თვარადა, დმერთმან ნუ ქნას, ერთობა არ მოხდეს, ჩვენ ერთმანეთს არ მოვეშოროთ და ერთნი ვიყვნეთ“... — ან მეორე 1717 წლისა: —

„ნებითა და შეწყვენითა ღვთისათა... ეს ძმობის წიგნი მოგართვით... ასე და ამა პირსა ზედა: გაყრილნი ვიყავით და ისევ ერთმანეთის თავი მოვიდნომეთ და ისევ ძმათ შევყარენით. ეს პირობა დაეზღვეით, რომ ... ყველა გაგვიერთებია“... — ან კიდევ 1797 წლისა: —

„ალამაჰმადხანის ტფილისში შემოსევის დროს სპარსელებმა ჩვენი სახლითგან რამოდენიმე კაცი ტყვედ წაასხეს და ამას გარდა დიდი ზარალი და დანაკლისიც შეგვემთხვა. ჩვენი ტყვეების გამოსყიდვისა და ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ჩვენ ურთიერთის თანხმობით, ერთად შევიყარენით: ამიერითგან ჩვენ ყველანი ძმანი ვართ, თითქო ერთი დედამისის შვილები და რაც გვაქვს და რასაც მომავალში შევიძენთ, უნდა საერთო იყოს“... — და მრავალთა შორის ერთი 1798 წ.: —

„ტფილისის აოხრების შემდგომ ჩემმა ძმამ ყიზლართგან ჩემი რძალი გამოსყიდა და იმის ჩამოსაყვანად ყიზლარში წავედი და ჩამოვიყვანეთუმცა მე და ჩემ ძმა და რძალი გაყრილები ვიყავით და ცალცალკე ეცხოვრობდით, მაგრამ... ერთ ოჯახად შევიყარენით... ჩვენ შორის სიტყვები „ჩემია“ ან „შენია“ არ უნდა იყოს“... —

ამ მოვლენას ქართულ ცხოვრებაში შეყრილობა ერქვა და იგი არც თუ უბრალო ამბავია და სასიქადულოც. ჩვენ დღეს არამც თუ მარტო რძალი გვყავს გამოსასყიდი, — ჩვენი დედული, ჩვენი მამული, ჩვენი სამშობლო არის დასახსნელი უარესი მტერისაგან, ვინემ ალამაჰმადხანი იყო. ალამაჰმადხანი ვინ არს მოსკოვთან შედარებით! იგი შემოიჭრა, აიკლო, გასცარცვა, გადასწვა, გაანადგურა ტფილისი, და წავიდა ნადავლითა და ტყვეებით. მოსკოვი კი მთელ საქართველოში დამკვიდრდა და თავისი ბოლშევიკური რეჟიმით მთელ ერს ანადგურებს.. მის გამოსასყიდათ, მის დასახსნელად შეყრილობა გვჭირდება, — ეროვნულ ძმურ ძალთა დარაზმულობა, ეროვნულ რაზმთა, სისხლის ნათესავთა ერთი დროშის ქვეშ თავმოყრა და დარაზმვა!



მაგრამ ქართული ეროვნული ძალების თავმოყრა საქართველოს განთავისუფლების მიზნით, თავისთავად გულისხმობს დანარჩენი კავკასიელი ერების ნაციონალურ ძალებთან მჭიდროდ დაკავშირებას და გაერთიანებასაც. ესეც საშუროა, — საკითხი აქაც მომწიფებულა და დაუყოვნებლივ განხორციელებას მოითხოვს.

ჩვენ ეხლა ვდგევართ აუცილებლობის წინაშე: — შეიკრან და დაირაზმონ ეროვნული ძალები არა მარტო ქართულ ეროვნულ, არამედ კავკასიურ ფრონტზეც. დღევანდელი ჩვენი ლოზუნგია: — ეროვნულ ძალთა ერთობა!

ვიკ. ნოზაძე

ძველი ლიტერატურის ახალი კრიტიკა

(იხ. „მონატი“, კრებული მეხუთე).

(დასასრული)

ხელოვნების თითოეული განყოფილება განურჩევლად მისი სხვადასხვაობისა, შინაგანი ბუნების, შინაგან უხილავ სულის სახეობით გამოხატულებათ. იმ საიდუმლო სამყაროს, რომელსაც ააშკარავენ ხელოვნების ესა თუ ის ფორმა, ორგანიული განუყრელი კავშირი აქვს შემოქმედების შინაგან ბუნების სიძლიერესთან.

გარემო პირობები როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი, უშუალოდ ისახებიან მის თითოეულ უჯრედში, რომლის შინაგანი გარდაქმნა, გადამუშავება გვაძლევს სინამდვილის ახალ სურათს, ახალ მხატვრულ სახეობას. როგორც ვხედავთ, წმინდა ბუნებრივ პროცესთან აქვს საქმე ხელოვნების თავისუფალ შემოქმედებას.

კრიტიკის დღევანდელი ახირებულებანი თითქმის სრულიად გვერდს უვლის ხელოვნების შესწავლისა და შეფასების ამ უდიდეს იარაღს.

კრიტიკა, რომელიც იხილავს ხელოვნების ისტორიას, მის დანაწილებას და ცალცალკე საუკუნეთა შესწავლას, განზე არ უნდა სტოვებდეს ამ სათუთ და დიდ მნიშვნელოვან საკითხს. ამ შემთხვევაში, ქართველი კრიტიკოსი, რომელიც აფასებს ნ. ბარათაშვილის შინაგან ბუნებას, ქარიშხალში აცურებულ მის გრძნობათა სამლოცველოს, მეტად ფრთხილი და მიუდგომელი უნდა იყოს. შეგიძლიათ იდავოთ, პოლიტიკურ დოქტრინებით შეიარაღდეთ, ერთმანეთს ბრძოლა გამოუტყხადოთ, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ენებით ისეთ ნაზ საკითხს, როგორიცაა ხელოვნება და კერძოდ, პოეზია.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა უძლიერესი მხატვრული ფორმით გადმოგვცა ის სულიერი ქარიშხალი, ოცდარვა წელი რომ ატარა სხეულ-ანეხილ ქართულ მიწაზე. ბარათაშვილი რამდენად ახალია როგორც ხელოვანი, იმდენად ძველია ეროვნული სევდის შინაარსით. თვით ქართული ყოფა და ქართული ლიტერატურაა მისი მემკვიდრე; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მან საკუთარი ფერებით დაასურათხატა ქართული ზეცის იალ-ტიალი.

ამ მოკლე წერილში სრულებით არ მინდა შევეხო ნ. ბარათაშვილის პიროვნებას და მისი შემოქმედების შეფასებას. მხოლოდ მინდა აღვნიშნო კრიტიკის ის უხერხემლობა, რომელმაც ქართული ლიტერატურის შესწავლასა და შეფასებას საფუძვლად დაუდო უცხო დოქტრინის, უცხო მიწაზე და უცხო პირობებში მოხეტიალე დებულებანი.

საკვირველია: თითქო არ გვექნდეს საკუთარი ისტორია, თითქო საკუთარი ქართული მი ზეზებით არ შეგვეძლოს ეროვნული მოვლენების ახსნა და დაფასება! თითქო ქართული საუკუნეები ზეცაზე იყოს გადმოკიდებული და ყველა ქვეშ მოხეტიალე ადამიანს შეეძლოს ამ „უხილავ“ პლანეტების თავისებური დაფასება! არსებობს კრიტიკის ერთგვარი ნორმა, რომლის გადაჭარბება და ყველაფრის არარაობად გამოცხადება, ჭეშმარიტების საზრისით, ბოროტებას უდრის.

ბრძოლა ძველ კულტურასთან, ძველ ხელოვნებასთან, უკვე ოქტომბრის გადატრიალების პირველ წლიდანვე დაიწყო. ახალმა, არაფრის მქონე მწერლობამ, მთელი წარსული ბურჟუაზიის სამფლობელოდ გამოაცხადა და არ-არსებულ პროლეტარიატს შეიარაღება დაუწყო — თითქო ბურჟუაზიულ კულტურის საწინააღმდეგოდ. საბჭოთა რუსეთში შეიქმნა ერთგვარი ორგანიზაცია, „პროლეტკულტის“ სახელწოდებით, რომელიც მიზნად ისახავდა მთელი ხელოვნების წარსული არარაობად აღეარებია და ახალი პროლეტარული კულტურის საფუძვლები დაეწყო: — „პროლეტკულტის“ ყრილობაზე, კაზანელი დელეგატი ამბობდა: — „ჩვენ შევდივართ ახალ ცხოვრებაში პროლეტარული შეგნებით დატვირთულნი: ამასთანავე კიდევ სურთ ჩვენი დამძიმება უზომო ტვირთით — ბურჟუაზიული კულტურის მონაპოვართ. ამ შემთხვევაში ჩვენ დავემსგავსებით ზომასზე მეტად დატვირთულ აქლემს და ვვლარ შევსძლებთ წინ ფეხის გადადგმას. მოვიცილოთ მთლიანად თავიდან ბურჟუაზიული კულტურა, როგორც ძველი ნაგავი“.

ამ შეხედულებას უფრო მკაფიოდ გამოსთქვამს ვინმე პროლეტარული პოეტი კირილოვი: —

«Во имя наредго завтра — сожжем Рафаэля,
 Разрушим музеи, растопчем искусства цветы,
 Девушки в светлом царстве грядущего,
 Будут прекрасней Милосской Венеры»



როგორც დავინახეთ, პროლეტარული კულტურის წამოწყებანი თავიდანვე გადაჭრით უარყოფდა ძველ ხელოვნებას, იმიჯნებოდა მისგან და ახალი სახე, ახალი შინაარსი დღემდე ამ გადაჭარბებული თავმოყვარეობით წვალობდა საბჭოთა პროლეტარული მწერლობა. დღეს კი საკვირველი ამბავი მოხდა. ასეთი აზრი და ასეთი შეხედულება ანტი-პროლეტარულად არის გამოცხადებული! ძველი „ბურჟუაზიული“ კულტურის გათელვა არც ისე ადვილი საქმე ყოფილა, მით უფრო, როდესაც ახალს არაფერი არ გააჩნია, გარდა უცხო და უხვეულო პოლიტიკურ დოქტრინებისა. მთელი საბჭოთა მწერლობა ძველი ლიტერატურის ტენიკისა და ფორმების გავლენას განიცდის და ის „ნაგავი“, რომლის გადაყრას მოითხოვდნენ „პროლეტკულტის“ თანამშრომლები, დღეს ბაჯალლო ოქროდ არის გამოცხადებული!

აი რას ამბობს ბ-ნი ა. ჭყონია თავის წიგნში: — ბარათაშვილი პოეტი და მოქალაქე: — „პროლეტარიატი ებრძვის კლასთა თანამშრომლობას, მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის უარყოფდეს თაობათა თანამშრომლობას“...

რომელი თაობა ჰყავს პროლეტარიატს წარსულში, ბოლშევიკური გაგებით, რომელთანაც შეიძლება დღეს კულტურული თანამშრომლობა? ეს თაობა მას არ გააჩნია და თუ მაინც იმედოვნებს, თავს იტყუებს; ეს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კულტურის უდიდესი კრიზისის გამოა გამოწვეული. საბჭოთა მწერლობამ ვერ მონახა ახალი ფორმა, ახალი ჭურჭელი პროლეტარული შინაარსის ჩასადებად; ის მისგან შეუტრაცოფილ, „დამბალ და გახრწნილ“, ბურჟუაზულ და ფეოდალურ კულტურიდან იბარავს საღებავებს ახალი კუპრის სიმანინჯის დასაფარავად. ხშირად ეს ორმაგობა წიგნის თეთრ ფურცლებზე აშკარაა თავის სახეს და მეტად საცოდავ შინაარსს სტოვებს. აი მაგალითად, რას ამბობს ერთი წითელი კრიტიკოსი: —

„ხელოვნების ისტორიაში მრავალი მაგალითია, თუ როგორ დასცინა ცხოვრებამ მეოცნებეთ, რომელნიც სცდილობენ ძველის ერთის ხელის მოსმით უკუვადებას და სრულიად ახალი დამოუკიდებელი გზით სიარულს“-ო.

როდის იძლეოდა ბოლშევიკური ბრძოლის მეთოდი ასეთ საღ და ანგარიშთან აზრებს? რამ მოიყვანა ჭკუაზე საბჭოთა შიშის ქვეშ დამდგარი კალმონები? იქ, სადაც ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, გაანადგურეს მთელი წარსული; სიკვდილის მუქარით შეიჭრენ როგორც ერის, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ყველაფერი საკუთარ ნება-სურვილს დაუმორჩილეს. დღეს კი საღ უნდა ვეძიოთ იმის მიზეზები, როდესაც ძველი და ახალი კულტურის საკითხი დგება, რომ ბოლშევიკური ახალი ლმობიერი კილო თანამშრომლობაზე ლაპარაკობს და მისგან შეუტრაცოფილ ძველ კულტურას ძმობას ეფიცება?

საკმარისია განვიმეოროთ ამ წერილის დასაწყისი, რომ კითხვა თავისთავად განმარტებული და გაგებული იქმნას.— ხელოვნების თითო-ული განყოფილება განურჩევლად მისი სხვადასხვაობისა შინაგან ბუნების, შინაგან უხილავ სულის სახეობითი გამოხატულებათა.

ახალმა ბოლშევიკურმა ძალამ მთელი თავისი ენერჯით სცადა დაემორჩილებია ხელოვნების ეს შინაგანი ბუნება, მაგრამ ეს ხომ მატერია არ არის, რომ დაიმონო და დაიმორჩილო! იმ საიდუმლო სამყაროს, რომელსაც ხელოვანი და ხელოვნება ეწოდება, ვერავითარი ზომით ვერ მიუდგა სიკვდილის მუქარა. აქ შინაგანი შემოქმედების ძალა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე გათხრილი საფლავი და სიკვდილ - სასო-წარკვეთილობა.

ვისაც გულდასმით გადაუთვალეირებია სრულიად საბჭოთა პროლეტარული მწერლობის კონფერენციების სავალდებულო დადგენილებანი, ალბად დაგვემოწმება, თუ როგორ დაუზოგავად ებრძოდენ მთელ კულტურულ სიძველევებს, არა მარტო დადგენილებებით, არამედ ლიტერატურასაც ყოველდღიურ შემოქმედების საკითხად უყენებდენ ბრძოლას ძველ მწერლობასთან, ბრძოლას ყოველივე არა-პროლეტარულთან. აი მავალითად, როგორ მიმართავს ბარათაშვილს პროლეტარული მწერალი ალიო მაშაშვილი, თავის ლექსში: — „მე და ბარათაშვილი“: —

„დღეს ვის უნდები, ვინ მოგიგონებს,
ზიხარ დუმილში უდაბნო მწირი,
უკვდავი სიტყვის უკვდავ სტრიქონებს
ინახავს ხალხი და არა წიგნი“...

ავიწყდება ბ-ნ მაშაშვილს, რომ ბარათაშვილის შემოქმედება ათეუ-ლი წლის განმავლობაში სრულიად დაკარგული იყო სიტყვა - კაზმული მწერლობის ნიადაგიდან; მიუხედავად ამისა, ბარათაშვილი აღსდგა მთელი თავისი სიძლიერით; ქართველმა ხალხმა შეუქმნა მის შემოქმედებას „წიგნი“, ქართველმა ხალხმა აკინძა ბარათაშვილის აცრემლებული სტრიქონები; ხალხი, მთელი ერი ატარებს ბარათაშვილის სევდის გრძნობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მის სულს და გულს ჯიჯგნიან ისტორიული ყოფის აცრემლებული პარალელები.

დღეს საბჭოთა მწერლობის ერთიანი შემოტრიალება სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქო მან იცნო და შეითვისა ქართული მწერლობის ეროვნული ტკივილები; ის დღეს, როგორც უწინ, უარყოფს ძველი მწერლობის შინაარსს, როგორც კონტრარეგოლუციურს, მაგრამ ის ეძებს მასში ხერხებს, ფორმებს ან-და უკეთესად, სრული უქონლობის გამო, მას სჭირდება ძველი ხელოვნებიდან ფორმა, სტილი, რიტმი. არ გამოდგა მართალი ბ-ნ ს. ჩიქოვანის „ბრძნული“ ტაეპი: —

„აწმყო წარსულის უარყოფელი
არის მშობელი მომავალისა“...



ხელოვნების გაუტეხელმა ნებამ დააჩოქა და დაამარცხა პროლეტარული მწერლობის ეს უსუსური პრეტენზიები; თუმცა ის ფუტურიზმის ბედს ითვალისწინებს და აღნიშნავს, თუ როგორ დამარცხდა ხანებულები მიმდინარეობა, როდესაც მან მთელი ძველი კულტურა უარყო და ახალის შექმნას შეუდგა. ამიტომ ასე სწერენ: —

„საკმარისია გავიხსენოთ ფუტურიზმის ხედვრი. ეს მიმართულება წარმოშვა ბურჟუაზულმა საზოგადოებამ თავის სიბერის დღეებში, ეს იყო პროტესტი დრო-მოკმული ლიტერატურული ტრადიციების გაყინულ შემოქმედებითი ხერხების წინააღმდეგ. ამაში ეძებდა ხსნას ხავესმოკიდებული ბურჟუაზიული ხელოვნება. ფუტურიზმმა დაგმო ყოველივე ძველი ხელოვნებაში, გადაჭრით უარყო ძველის შინაარსი, ფორმა, სტილი და რიტმი. ძველი ხელოვნების საუნჯენი საარქივოდ გამოაცხადა“...

არ ვიცი, ამ სტრიქონების ავტორი გულწრფელად სცდება, თუ დაკვეთის ქარბი ასრულებისათვის არ ერიდება მკითხველის ასე აშკარად მოტყუილებას. — ფუტურიზმმა საერთოდ და კერძოდ იტალიაში, წარმოშობის პირველ დღიდანვე უარყო ხელოვნების ძველი ფორმა, რიტმი, სტილი და შინაარსი. მაგრამ ყოველივე ეს მიიტანა ხელოვნებათა სამსხვერპლოზე, ხელოვნების უკეთესობისათვის და არა პოლიტიკისათვის. ფუტურიზმი წარმოიშვა ახალი გზების ძიებით; უარყოფდა რა ძველი ხელოვნების მთავარ პრინციპებს, მან ხელოვნება აღიარა ხელოვნებისათვის და არა პოლიტიკურ დოქტრინების დაკვეთისათვის.

მართალია, ფუტურიზმი დამარცხდა, მაგრამ ხელოვნების გამართულ ტილოზე მან დასტოვა თავისი გამოკვეთილი სურვილი. საბჭოთა მწერლობამ კი ხელოვნებაში ყველაფერი უარყო, მთელი ლიტერატურული სიძველე „ნაგავად“ გამოაცხადა და შეუდგა ახალი ხელოვნების ტაძარის შენებას. მაგრამ უდიდესი კრიზისისა და მარცხის გამო კვლავ დაუბრუნდა მისგან შეურაცყოფილ კულტურის ძველ სახეობას, ხელოვნების ძველ ნებასა და სურვილს.

ჩვენ დაეინახეთ, როგორი სარგებლიანობის თვალთ უყურებს საბჭოთა მწერლობა ძველ კლასიკოსებს; აგრეთვე აღვნიშნეთ, როგორ დაინგრა ის უსუსური და ხელოვნების ნიადაგს მოკლებული პრეტენზიები. — ეხლა თანახმად პირველი წერილის დაპირებისა, გავარჩიოთ, თუ როგორ სინჯავს და აფასებს დღევანდელი საბჭოთა კრიტიკა ქართველ პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნებასა და მის პოეზიას.

არ შეეგებები ბარათაშვილის დროს და არც მაშინდელ საზოგადოებრივ განწყობილებას; ამის შესახებ ემიგრაციაში დაიწერა (იხილეთ „კავკასიონი“, წიგნი მერვე) და ბევრიც ითქვა. მხოლოდ აღვნიშნავთ იმ ინტერვალს, რომელიც ქართულმა მწერლობამ განიცადა მეფე ერეკლეს ქალიშვილებიდან 1832 წლის შეთქმულებამდე.

ამბობენ: ლიტერატურა ცხოვრების სარკეაო, — თუ ეს ასეა, არც

ერთი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაში ეს აზრი არ გამართლებულა ისე სავსებით, როგორც საქართველოში. — თვით ქართველი ისტორიკოსების უდიდეს მასალას შეადგენდა, როგორც ქართული ორიგინალური ლიტერატურა, ისე გადმოცემებით გადმოსული ხალხური ზეპირი სიტყვაობა. ის პარალელი, რომელიც მომდინარეობს საქართველოს ეროვნულ ცხოვრებასა და ლიტერატურას შორის, ნათლად გვარწმუნებს, რომ, მიუხედავად იმისა, ქართული ლიტერატურა წარმოშობიდანვე განიცდიდა უცხო გავლენას, ის იყო და დარჩა უდიდესი სარკე, რომლიდანაც ეხლაც მოსჩანს საქართველოს ძლიერი ეროვნული ფერგადასული სახეები. — ქართული ლიტერატურის ისტორიულ პერიოდებად დაყოფაც ნათლად გვარწმუნებს, თუ როგორ არის შესისხლხორცებული ერთი მეორეში ეროვნული ტკივილები და ქართული ლიტერატურა.

თუ ჩვენ ცალკე განვიხილავთ იმ საუკუნეებს, როდესაც საქართველოს თავს ესხმოდა ვარეშე მტერი და მის სიმშვიდეს აწიოკებდა, და შევისწავლით აგრეთვე ამ საუკუნეთა ლიტერატურას, დავრწმუნდებით, რომ როგორც საქართველოს ეროვნულ სევდას, ისე ბარათაშვილსაც მემკვიდრეები ჰყავს ქართული ლიტერატურის ახლობელ და შორეულ წარსულში. საკმარისია მოვიგონოთ მეჩვიდმეტე საუკუნე, შახაბაზის შემოსევა ანუ სისხლის ქარიშხალში განადგურებული ქართველობა; საკმარისია მოვიგონოთ ამავე დროის, სიცოცხლეშივე წამებული მეფე, თეიმურაზი და მისივე პოემა : — „წამება ქეთევან დედოფლისა“... აი, როგორ იწყება ეს პოემა : —

ღმერთო ცისა და ქვეყნისა, საბრუნავითა მაქცეო,
 ზე ამართული ყოველთა დამცემო, გარდამაქცეო,
 ზოგჯერ ჭირს ლხინად, ლხინს ჭირად შემცვლელიო გარდამაქცეო,
 არამცა მიმცე სოფელსა, მტყუანია და მაქცეო,
 ფათერაკია სოფლისა სიცოცხლე, თვალის წამება,
 ფერობა, ბრუნვა, ჩვენება, წესად ჭირს ცილის წამება,
 ფრთინვა ვისცა აქვს შეებითა, ბოლო მისთვისაც წამება,
 ფრთხილად ვიყავ და გასინჯეთ, ამაღ არ მექნეს წამება....

არა ნაკლებ საინტერესოა ამავე პოეტის ლექსი: ჩივილი სოფლისადმი:
 რად სოფელო სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?
 გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ დასადაგე!
 დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?
 სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?
 სულ დაგლიჯე ვარდი ჩემი, იგი არც თუ მოაწივე,
 ვინცა შეგქმნა, მან შენ გიყოს, რაცა ჩემზე მოაწივე,
 მოვკვდე — მიწაც აღარ მინდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე,
 მაშინ აგრეც შეგებრალდე, იტირე და მოაწივე....



როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, სადაც ავტორი ამბობს: — „მო-
ვკვდე — მიწაც აღარ მინდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე“-ო, თქვენ წინ
სდგება ბარათაშვილი თავის ლექსის პოეტური სიძლიერით: —

„შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტილის

მინდვრის,

და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით ღრიალით მიწას მომაცრის“,
ამის შემდეგ ვფიქრობ, ბარათაშვილი რამდენად ახალია როგორც ხე-
ლოვანი, იმდენად ძველია ეროვნული სევდის შინაარსით. თვით ქარ-
თული ყოფა და ქართულ მწერლობაა მისი მემკვიდრე. გავიხსენოთ
იოსებ ტფილელის „დიდ-მოურავიანი“; ვახტანგ მეექვსეს „ვაი სიკვ-
დილო, მწარე სიკვდილო“; დ. გურამიშვილის „საწუთროს სოფლის სა-
მდურავი“, — რამდენი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ, რომ ამ მძიმე სევ-
დის გრძნობით არ იყოს შეპყრობილი მათი პოეზია!

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურაც დაიწყო ცრემლე-
ბად ჩამოკვეთილ ერეკლე მეფის ქალიშვილებიდან; საქართველოს სა-
ხელმწიფოს დანგრევა ყველაზე უფრო მძიმედ და მწვავედ ამ ოჯახმა
განიცადა. ქალის ცრემლებით ატირდა ბარათაშვილის საუკუნის დასა-
წყისის მისი უახლოესი მემკვიდრეობა: —

„ჰოი ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრომელი,
ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი,
აზიის მთიებთ დამბნელებელი,
ბედნიერთ პალატთ დამამხობელი,
მშვენიერთ წალკოტთ არ მფურჩენებელი.
ჰოი ვითარ ვსთქვა.....“ ...

სწერს ქეთევან ბატონიშვილი და აგრძელებს ქართლის უკუღმართ დრო-
თა აღწერას მარიამ ბატონიშვილი: —

„ჰოი დამწარდეს დროთა ტკბილობა,
უწყალომ ეტლმან რა ქნა ცილობა,
აღფუხრა წალკოტსა ვარდთა შლილობა,
დასთურგვნა ჩემი დღე კეთილობა,
ბნელ ჰყო ქართლოსის ძვირფას მტილობა,
მესისხლე მარიხს აქუს ხმალ წვდილობა...“ ...

აგრეთვე საინტერესოა თეკლე ბატონიშვილის შემდეგი ლექსი: —
„პასუხად ქეთევან ბატონიშვილს“: —

„რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირე ხანს ლხინთა გამწარებანი?

სტირ შესაწყალად წალკოტთა რგულთა,
 მშვენიერთ ვარდთა, ედემსა სხმულთა,
 ზამბახთა თხზულთა უზადოთ მკულთა,
 თვისთა მამულთა აწ განკარგულთა,
 არ სცემს ლხენასა მცირეს ჟამს რგულთა.
 რად გკვირს....

ფეიქრობთ, სრულიად შემცდარია ის აზრი, თითქო გ. ორბელიანის „სადღეგრძელო“-თი პირველად გამოიკვეთა ეროვნული შემოქმედების ძლიერი პოეზია. ეს ადგილი, ჩვენის აზრით, მარიამ, ქეთევან და თეკლე ბატონიშვილებს ეკუთვნის, რომელთაც ასე წმინდათ, გრძნობისა და გონების შეხმატკბილებით, მოგვცეს ერეკლე მეფის სიდიადე და მისი დამარცხების მტკივნეული სურათი. მით უმეტეს, რომ ბაგრატიონთა დინასტიის გადავარდნის შემდეგ, ქართულმა პოეზიამ, შეიძლება ითქვას, დუმილი განიცადა, ქართული ძალა ბრძოლაში გადაეშვა, აჯანყება აჯანყებას თხოულობდა და როცა ოცდათორმეტი წლის შეთქმულება საბოლოოდ დამარცხდა, მაშინ დაიწყო მთელი თავისი ძლიერებით ის სევედის პოეზია, პოლიტიკურ რომანტიზმად რომ იქმნა მონათლული. ბევრს უნდოდა ქართულ რომანტიზმის სხეულისათვის უცხო თავი გამოება. თვით ნ. ბარათაშვილს ბაირონს ეძახდნენ. დღესაც არ არის, სამწუხაროდ, ეს აზრი სრულიად მომსპარი. გადაჭრთ უნდა ითქვას, რომ იმ დროის ლიტერატურას და კერძოდ ბარათაშვილს მსოფლიო რომანტიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს. ის მთელი თავის ფესვებით ქართულ მიწის ნიადაგიდანაა ნაშობი. ის არ წააგავს შატობრიანს, არც ბაირონს, და არც ლერმონტოვს, რომელიც ცხოვრებას ზევიდან დაპყურებს და პირდაპირ უარპყოფს; საკმარისია გავიხსენოთ ლერმონტოვის შემდეგი ადგილი: —

Без сожаленья без участия,
 Смотреть на землю станешь ты,
 Где нет ни истинного счастья,
 Ни долговечной красоты.
 Где преступленья лишь, да казни,
 Где страсти мелкой только жить,
 Где не умеют без боязни
 Ни ненавидеть, ни любитьъ.

ნ. ბარათაშვილი კი ქართულ პოეზიაში მოსჩანს ეროვნული ტკივილებით, საკუთარი ქართული წუხილით. იშვიათია ბარათაშვილს, რომ ამ ტკივილს არ განიცდიდეს. თვით „მერანი“, რომელიც შეუდარებელი ნიმუშია პესიმისტური თავდავიწყების, ავტორს არ ავიწყებს თავის სამშობლოს...

რაა, მოგშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორსა და მეგობარსა:
 ნუ და ვინილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბარსა,
 სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა, სამშობლო....

აქ არის უდიდესი სიყვარული ცხოვრებისადმი, სამშობლოსადმი; სწო-
 რედ ამითაა გამოწვეული ის უდიდესი სასჯელი „ბედი ქართლისა“—
 რომ ავტორს არგუნა...

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
 ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის...

იქაც კი, სადაცა ბარათაშვილი ციურ ფერს, იმ ქვეყნიურ ფერს ეტ-
 რფის, უმღერის საოცნებოდ ზეციურ ქვეყანას, მაინც ვერ ივიწყებს იმ
 გულის ტკივილს, აჯანყებების სისხლით შემუხრულმა მიწამ შესამად რომ
 ჩააწვეთა მის ცხოვრებას.

„მოგვედები, ვერ ვნახავ
 ცრემლსა მე მშობლიურს,
 მის ნაცვლად ცა ლურჯი
 დამარფქვევს ცვარს ციურს.....“

ნ. ბარათაშვილი ქართული ყოფის დრამაა, დრამა მეტად მძიმე ინ-
 დივიდუალური, მაგრამ მაინც ეროვნული. ამიტომაც ის ყოველი ქართ-
 ველისათვის უკვდავი და მუდამ ახალი. ის ქართულ სულზე და გრძნო-
 ბებზე აჩენს წარუშლელ კვალს და გონებასაც აფიქრებს ქართლის ბე-
 დით. — თავი რომ დავანებოთ იმ ლიტერატურულ შემკვიდრებას, რო-
 მელზედაც ზევით ვილაპარაკეთ, ნ. ბარათაშვილი თავის შემოქმედებით
 იშვიათი მხატვრული სურათია იმ დროის, რომელშიდაც ცხოვრობდა.

დღევანდელი ქართული კრიტიკა სულ სხვაგვარი რკვევით უდგება
 ქართველი ერის და ქართული ლიტერატურის შეფასებასა და შესწავლას.
 მისთვის არ არსებობს ისტორიული ფაქტები, ეროვნული მიზეზე-
 ბი, პიროვნება და მისი დრო; თითქო რუსეთს საქართველო კი არ გაუუქ-
 მებია როგორც სახელმწიფო და ამ ეროვნულ ტკივლებზე კ არ აღმოცე-
 ნებულა ქართული რომანტიზმი, არამედ ახალგაზრდა რუსეთის კაპიტა-
 ლისტური ფორმების შემოჭრას შეუქმნია თავადაზნაურობის ის გოდე-
 ბის პოეზია, რომელიც დღესაც პოლიტიკური რომანტიზმის ბეჭედს
 ატარებს. — თურმე ბარათაშვილი უდიდესი პოეტი ყოფილა მით, რომ
 მან ასე მკაფიოდ ასახა მაშინდელი ფეოდალური სულისკვეთება და უსა-
 სოობის ფსიქოლოგია. აი რას ამბობს ჩვენ წერილში დასახელებული მკო-
 ნია: — „ბარათაშვილი პირმშო შეილია თავის წოდების. ამ წოდებას
 უყვარდა „უკუღმართ ამ სოფლისა ქირთა დათმენა“ და ოცნების ქვე-
 ყანაში მოგზაურობა“...

გადიტიანა რა საკითხი და ლიტერატურაც წოდებრიობის ჩარჩოში,
 იგი განაგრძობს: — „ცხოვრებისაგან განწირულ თავადაზნაურობას ის

(იგულისხმება ბარათაშვილი. გ. ყ.) ერთობ შეეთვისა და პატრიოტული გალუციანაციებით დასწრულ გონებაში საუკეთესო ნიადაგი ჰპოვა“ ..

სასაცილოა ბარათაშვილის ფეოდალობაზე ლაპარაკი; ბარათაშვილის მხატვრულ პოეტურ შემოქმედებაში არ მოიპოვება არც ერთი სიტყვა. რომელიც წოდების საკითხს, თავადაზნაურობის საკითხს აყენებდეს, არც ერთი მისი ლექსი ამ წოდების გავლენას არ განიცდის, არც ავად, არც კარგად, — ამით არის მისი შემოქმედება არა ვიწრო ჯგუფური; არამედ ვრცელი შინაგანი ბუნებით დატვირთული და ყველასათვის უწმინდესი ნიმუში. მაგრამ თუ კი ქყონია ყოველივე ამას უკუღმა ატრიალებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ წერილის მთავარი ხაზი და მიზანი ამას მოითხოვს. აბა, როგორ შეიძლება, რომ დავალება, შეუსრულებელი დარჩეს, და, ქართული ლიტერატურა, ქართული კლასიკები საბჭოთა კრიტიკის სამსხვერპლოზე არ მიიტანოს?! ეს ახალი ხელობაა ქართველ ბოლშევიკურ კრიტიკოსებისათვის და მოხელეთა მთავარი იარაღი მატერიალიზმი გახლავთ! ლიტერატურის განხილვას ისინი, მათი ენით რომ ვსთქვათ, კაუზალობით და თელეოლოგიით ანუ მიზნობრიობის და მიზნობრიობის თეორიით უღებებიან. რომ შეფასებული იქნეს ამა თუ იმ პოეტის შემოქმედება, მათი აზრით, საჭიროა ვიცოდეთ:

1. რომელ წოდებას ეკუთვნის ავტორი,
2. ვინ იყო მისი წინაპრები,
3. რომელ წრეში უზღებოდა ცხოვრება,
4. ჰქონდა თუ არა მატერიალური უზრუნველყოფა,
5. როგორი განწყობილება ჰქონდა ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის წინ და სხვა მრავალი ახირებულებანი, რომლის აქ მოყვანა ზედმეტად მიმაჩნია.

განიხილავენ რა ზემო-მოყვანილი მუხლებით ავტორის ცხოვრებას, მის შემოქმედებას, დასკვნა ერთია: — „კონტრ - რევოლუციონერი“, „ფეოდალური“, და ცალცალკე ყველას სიტყვათა სეტყვით ერეკებიან იქ, სადაც ხელოვნება და ქართული სიტყვით სათქმელი აზრი პოლიტიკურ დოქტრინის დაბალ და უცხო „იზმი-ტიზმის“ ხარისხამდეა დასული.

ასეთივე წესით აფასებენ ახალი კრიტიკოსები ბარათაშვილის შემოქმედების იდეურ მხარეს.

არა ნაკლებ ახირებულია ხსენებულ კალმოსანთა სიტყვით შეფასებული ხელოვნება. აი რა ყოფილა ხელოვნება, როგორც განსაკუთრებული მცნება: — „მეცნიერება ცდების სისტემაა, რომელიც დაგროვებულია ადამიანის ბუნებასთან ბრძოლის პროცესში, ხელოვნება კი ბრძოლაში განვლილი განცდის, გრძობების სისტემაა. პირველი ხელს უწყობს შრომის ორგანიზაციას მსჯელობის, ლოდიკურ აზროვნების საშუალებით, მეორე მხატვრული სურათების და შთაბეჭდილებების დახმა-

რებით. ამნაირად, მეცნიერება და ხელოვნება ერთსა და იმავე საქმეს ემსახურება“... — ეს ამონაწერი ნათლად გვარწმუნებს, თუ როგორ პრიმიტიულად არის გაგებული ხელოვნება და მისი როლი ცხოვრებაში. ასეთ მსჯელობას რომ მიეყვებით, იგი დაგვაბრუნებდა უკან შორეულ წარსულში, როცა ადამიანი ველურ მდგომარეობაში იყო და მუსიკა სიმღერად, სილაამაზე წმინდა ველური ბუნების ინსტიქტი გახლდათ. მაგრამ სად წავიდა ხელოვნების განვითარების საფეხურები, რომელიც კაცობრიობამ ამ ხანის განმავლობაში განვლო? რად ქირდება საბჭოთა კრიტიკას, რომ ხელოვნება მშრალ მეცნიერულ სისტემაზე დაიყვანოს?

ხელოვნების ასე გამოსაყენებელ ნივთად ქცევა, განსაკუთრებულ ყალიბში ჩაქეპყება მის სიკვდილს უდრის და ამიტომაც, რომ საბჭოთა შემოქმედებამ ხელოვნების ყოველ დარგში მარცხი განიცადა. ის ეხლა სიძველეთა ნანგრევებზე სდგას, მისგან შველას მოითხოვს. საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ადგილი: — „საუკეთესო მომავალისათვის მებრძოლი თაობა ხელოვნების ძველ საუნჯეს აფასებს პრაქტიკულად: ჰკრეფს იქედან ყოველივეს, რაც მისი ბრძოლის იდეალებს შეეფერება. ეს რომ არ იყვეს, მაშინ ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასთან ერთად ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ სხვა ძველ კლასიკოსების და მათ შორის პირველთა პირველ კლასიკოსის შოთა რუსთაველის შემოქმედებაზეც. პოემა „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს ფეოდალური წყობილების ღვთაებრიობის მხატვრულ დასაბუთებას. ამასთანავე „ვეფხისტყაოსანში“, ჩვენი დროის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ბევრია რეაქციონური აფორიზმებიც. აიღეთ თუნდაც შემდეგი ორი სტრიქონი:

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
„მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარე გულოვნობდეს“..“.

ნუ თუ შეიძლება ასეთი რამე ჰკუთამყოფმა ადამიანმა სთქვას ან დასწეროს?! მერე ვიზე და რაზე?! შოთა რუსთაველზე და „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც სავსეა უუმალესი მხატვრული ფორმებით; არ არსებობს ხელოვნების არც ერთი დარგი, რომ ამ ღირსშესანიშნავ პოემაში თავის უძლიერეს გამოსახულებას არ ჰპოებდეს. აქ ხელოვნებით ამოწურულია ყოველივე საკითხი, დაწყებული ფილოსოფიით, გათავებულ უბრალო ოჯახურ ინტიმურ განწყობილებამდე. ყოველივე ეს ყოფილა თურმე ფეოდალური და რეაქციონური და შოთა, რასაკვირველია, კონტრრევოლუციონერი, რომელსაც ახლო მომავალში დიდი ზემოთ ბოლშევიკები 750 წლის იუბილეს უწყობენ!...

როგორც ვხედავთ, არ არსებობს არც ერთი ქართველი მწერალი, რომელიც საბჭოთა კრიტიკას არ ჩაემწყვდიოს მოწინააღმდეგეთა ბანაკში და რა თქმა უნდა, ნიკოლოზ ბარათაშვილიც ვერ ასცდა ამ ბედს.

აი როგორ შეუსრულეს თავისი ანდერძი წამებულ პოეტს, როდესაც ის ქარიშხალში გადავარდნილ მერანს მსძახოდა: —

„ტყვილად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“...

მიუხედავად ასეთი მახინჯი კრიტიკისა, საბჭოთა კალმოსნები მაინც მოუწოდებენ მომავალ თაობას, ამოკრიფოს ძველი ლიტერატურიდან ყოველივე ის, რაც მის პროლეტარულ-კომუნისტურ ბრძოლის იდეალებს შეეფერება. რა დარჩა ასეთი ძველ ლიტერატურაში, რომელიც დღევანდელ უბადრუკ პროლეტარულ მწერლობას გამოადგება? ეს გახლავთ ხალასი გრძნობა, რომელიც არც ერთ პროლეტარულ მწერალს არ მოეპოვება, რადგან როგორც ხელ ქვეითი მსახურნი დავალებას ასრულებენ. ის, რაც დღეს საბრალო თეთრ ფურცლებზე იწერება, ზევიდან დირექტივებით მოდის და არა პოეტის წმინდა განცდით. ამიტომაც, რომ ძველ ხელოვნების მგრძნობიარებით და მხატვრული ფორმებით სურთ ადავსონ პროლეტარული მწერლობის ის სიცალიერე, რომელიც ნაშენია მშრალ პოლიტიკური ფრაზეოლოგიით. ასეთი გამოყენების თვალსაზრისით უყურებენ ქართული მხატვრული ლიტერატურის ისტორიას და ნ. ბარათაშვილსაც.

ახალი შინაარსი, რომელსაც სრულებით ხელოვნების ნიშან-წყალი არ გააჩნია, ძველი ლიტერატურიდან მოითხოვს შველას. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ასე მოხდა, პროლეტარულმა მწერლობამ გრძნობათა სიყალბე გახვია ძველი ლიტერატურის რუსთაველისა და ბარათაშვილის მხატვრულ ფორმებში. რას მივიღებთ? მე მგონია სრულიად არაფერს, თანახმად ერთ-ერთ უცხოელ პოეტისა: —

„კარგია ფორმა, როცა მას
საფუძვლად უდევს აზრი ძლიერი.
რად გინდა შუბლი თუნდაც ლამაზი,
მაგრამ უტვინო და ცარიელი“...

გ. ყიფიანი

მე არ შემოიძლია გამგზავნა

დიდათ პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

მიუხედავად იმისა, რომ „მონატიის“ მრავალ დებულებათ არ ვიზიარებ, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს ერთად-ერთი ქართული ბეჭდვითი ორგანოა, სადაც ამ წერილის მოთავსება ჩემთვის უფრო მისაღებია; ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენი კრებულის ფურცლებზე, რისთვისაც წინასწარ მადლობას მოგახსენებთ.

პატივისცემით დ. საღირაშვილი

ამ თორმეტი წელიწადის განმავლობაში, იმ დღიდან, რაც კი მეც ბენდიერება მომენიჭა ემიგრაციის წევრად გამხდარვიყავ, ბევრი ისეთი რაღაც ვნახე ქართველი კაცის ზნეობის დამახასიათებელი, რასაც იქ, საქართველოში, სანთლითაც რომ მეძებნა, ვერ ვიპოვიდი. ეტყობა, ეს ბნელი თვისებები ადამიანის თვით ბუნებაში უნდა იყოს ჩამარბული, დროებით მიმალული საზოგადო ატმოსფერის ზეგავლენით და საკმარისია სათანადო ნიადაგი, რომ ადამიანის ეს უარყოფითი მხარეები გამოჩენილ - გაფურჩქნულ იქმნას. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ემიგრანტობა ამისათვის საუკეთესო ნოყიერი ნიადაგი ყოფილა.

მაგრამ ქართველ ემიგრაციაში ერთმა ისეთმა სენმა იჩინა თავი ეს ერთი ხანია, რომ, რამდენადაც არ უნდა იყოს დაკნინებული ემიგრანტული ქართული საზოგადო აზრი, ამას გვერდს ვერ აუვლის და ისე გულგრილად, გაჩუმებულად ვერ შეხედება.

ეს საშინელი სენი გახლავთ შემდეგი: — საკმარისია ვინმეს, და უმოთავრესად კი ზოგიერთ ვერად წოდებულ ხელმძღვანელ ჯგუფის წევრს, ვინმე არ მოეწონოს, ან რაღაც პოლიტიკური და ან კიდევ პირადი მოსაზრებით, რომ იგი ქართველი ხალხის მოლალატედ, ბოლშევიკების აგენტად გამოაცხადონ. ყველა დამეთანხმება, რომ ასეთ მძიმე, საშინელ ბრალდების წამოყენებას სათანადოთ შემოწმებული, მრავალჯერ გა-

სინჯული, დამამტკიცებელი საბუთები უნდა ახლდეს, ბრალდებას წინ უნდა უსწრებდეს. მაგრამ რას ბრძანებთ! ამ ჯურის ხალხს თქვენ ამას ვერ მოსთხოვთ. მათთვის საკმარისი საბუთია, რომ მათ „ერთი წუთითაც ეკვი არ ეპარებოდათ, რომ ეს და ეს პიროვნება ბოლშევიკების აგენტი იყო და არის“. მორჩა და ვათავდა! არც მეტი, არც ნაკლები!

ამ ყოველად შეუწყნარებელ, დასაგმობ მოვლენის საუკეთესო მაგალითს ბ. შალვა ქარუმიძის წინააღმდეგ ატეხილი კომპანია წარმოადგენს.

აქ, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, გადაჭრით უნდა განვაცხადო შემდეგი: — მე არას შემთხვევაში ბ. შ. ქარუმიძის პოლიტიკურ საქმიანობის დამფასებლად და მით უმეტეს, დამცველად არ გამოვდივარ. ყველას, ვინც კი მე მიცნობს, კარგად მოეხსენება ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ჩერვონცების გაყალბების საქმეში. ამ მხრივ, ჩემსა და მის მოწინააღმდეგეთა შეხედულებებს შორის განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ მე ქართველი კაცის ღირსებისათვის შეუფერებლად მიმაჩნდა, როცა ბ. შ. ქარუმიძის საქმე გერმანიის სასამართლოში ირჩეოდა, ჩვენი აქტიური ჩარევა სასამართლოს პროცესში და იმის ცდა, რომ მაინცდამაინც ქართველი გერმანიის სასამართლოს გამტყუებია და დაესაჯა. ქართული საქმის ინტერესებს არას შემთხვევაში არ ესაჭიროებოდა ქართველი კაცის გაშავება და მით უმეტეს დასჯა. ვამბობდი მეც ბევრ სხვებთან ერთად: — თუ მას, ბ. შ. ქარუმიძეს გარმანიის კანონების წინააღმდეგ დანაშაულობა მიუძღვის, თვით ეს სასამართლო გამოარკვევს და თუ საჭირო იქნება დასჯის, ჩვენ, ქართველების დაუკითხავად და ჩაურევლად. ვფიქრობ, ყოველი პირუთვნელი ქართველი დამეთანხმება, რომ ასეთი მიდგომა საქმისადმი ერთადერთ სწორად და ღირსეულად უნდა ჩაითვალოს.

ცნობილია: ბოლშევიკებს ბევრი ებრძვის იქაც, მათ სამეფოში, და აქაც, ემიგრაციაში. ბევრის ბრძოლის ტაქტიკა და მოქმედება შეიძლება ჩვენთვის ყოველად მიუღებელი და დასაგმობიც კი იყოს. მაგალითისთვის შორს არ წავალ. თვით ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიას გადავხედოთ. იყო დრო, — ეს 1921-22წ.წ., როცა ჩვენი ახალგაზრდა, აქტიური მებრძოლი წრეები ისეთ ბრძოლის საშუალებებს მიმართავდნენ, უკეთ, განზრახვა ჰქონდათ, რაც ჩვენთვის, ციხეში მჯდომთათვის, ყოველად დაუშვებელი იყო. სახელდობრ: 1922 წ. ხევსურების და საზოგადოთ მთიულთა აჯანყების ჩასაჭირობად გაგზავნილ ბოლშევიკების ჯარების წინააღმდეგ, ჩვენს გარედ დარჩენილ ახალგაზრდა ძალებს გადაეწყვიტათ აქტიური გამოსვლა. განზრახული იყო თურმე ხიდების აფეთქება მატარებლების დამტერევა, საწყობების დაწვა და სხ.

ეხლა ყველასათვის ცხადი უნდა იყოს — ეს განზრახვა სისრულეში რომ მოეყვანათ, რა საშინელ უბედურებას დააწვედნენ ჩვენს, მაშინ ხომ აჯანყებისათვის მთლად მოუმზადებელ ქვეყანას. საბედნიეროდ. იმ

დროს გარედ მომუშავეთა მიერ არც ერთი სერიოზული ნაბიჯი არ გადაიღებოდა, თუ წინასწარ ციხის „ბიუროს“ დასტურს არ მიიღებდნენ, სადაც ისინი ისეთი გამოჩენილი და ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, როგორც იყვნენ გრ. ლორთქიფანიძე, კოტე ანდრონიკაშვილი, სილ. ჯობლაძე, ალ. ლომთათიძე და ბევრი გამოჩენილი, მოწინავე მუშები. თქმა არ უნდა, ციხის ბიურომ კატეგორიულად მოსთხოვა გარედ მომუშავეთ, დასახელებული ზომებისათვის თავი დაენებებიათ და ასეთი სასწარკვეთილი ნაბიჯი არ გადაედგათ. — კიდევ ერთი მაგალითი: — მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ცნობილია, ბევრი რევოლუციონერი ექსპროპრიაციას მიმართავდა, როგორც ბრძოლის საშუალებას; ჩვენი პარტია — სოციალდემოკრატია — რასაკვირველია, გადაჭრით წინააღმდეგი იყო ამის. მაგრამ თუ ვინმე ჩაუვარდებოდა მეფის მთავრობას ხელში, ნუ თუ ვისმეს ჩვენთაგანს მოუვიდოდა აზრად, რომ სასამართლოში მისთვის რამე ვნება მიეყენებია. აქ კი, ევროპაში, — ბ. შ. ქარუმიძის გაშაგებას სასამართლოში ბევრი ქართველი სცდილობდა. სამწუხაროდ, ეს ფაქტია. ნუ რუ ფაფის გამართლება იმით შეიძლება, რომ აქ ევროპაა და იქ კი მეფის მთავრობა იყო! არა მგონია ასეთი გამართლება ვისმისთვის მისაღები გახდეს. მაგრამ ყველა ეს სხვათა შორის.

მე მაინტერესებს ამ წერილში სხვა რამე: — „ბრძოლის ხმამ“ ბ. შ. ქარუმიძეს ბრალდება წამოუყენა, გარკვეული, გადაჭრილი, ე. ი. რომ ის ბოლშევიკების აგენტია. მერე მოიყვანა თუ არა ამის დასამტკიცებელი საბუთები? არაფერი ამის მსგავსი. „ბრძოლის ხმა“ მხოლოდ აცხადებს, რომ მას ერთი წუთითაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბ. შალვა ქარუმიძე ბოლშევიკების აგენტი იყო და არის; მას მოჰყავს მხოლოდ ერთადერთი. ყოვლად უსუსური, უმწეო „საბუთი“; ის, რომ ბ. ქარუმიძეს მიწიშვილისთვის ამ 10 წლის წინეთ წერილ მიუწერიო. მაგრამ, თქვე დალოცვილებო, ქათამი რომ წყალს დალევს, ღმერთს შეხედავს! რამდენია ახლა თქვენს ბანაკში ისეთი, რომელსაც არა თუ წერილი მიუწერია რომელიმე ბოლშევიკისათვის, არამედ მათთან უმსახურია, მაშასადამე, იმ დროს მათი — ბოლშევიკების — ნება-სურვილების აღმასრულებელი ყოფილა. ანუ უბრალო სიტყვით, მათი აგენტი ყოფილა. ამნაირ ხალხს ახლა არაფერს სთხოვთ, პირიქით, ისინი თქვენს რიგებში დიდ სანდო პიროვნებებად ითვლებიან. სხვას კი „ბრძოლის ხმა“ რალაც გაუგონარ ლოდიკის შემწეობით, უბრალო წარსულის გამო (წერილი ხომ ჯერ კიდევ თვით სამსახური, თანამშრომლობა არ არის) არც მეტი, არც ნაკლები — აგენტად აცხადებს. მე გეკითხებით: — სადაა აქ, უბრალოდ, სამართლიანობის გრძნობა? ან იქნებ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კაცია-ადამიანის ბუნებრივი, თანდაყოლილი გრძნობა აქ, ემოგრაციაში შემოგვევანტათ. ეს რომ ასე იყოს, ჭეშმარიტად სამწუხარო მოვლენა იქნებოდა.

ბატონებო! "ბრძოლის ხმამ" ბ. შალვა ქარუმიძის წინააღმდეგ წამოაყენა საშინელი, ქართველისათვის ყველაზე უმძიმესი ბრალდება, რომ ის ბოლშევიკების ე. ი. ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრების აგენტია. ამ მძიმე ბრალდების დასამტკიცებლად კი დღევანდლამდე მას არავითარი, ხელ-მოსაკიდებელი საბუთები არ წამოუყენებია. ის კი რაც სთქვა „ბრძოლის ხმამ“ არავითარ შემთხვევაში საბუთად არ გამოდგებიან. მე აქ არ ვეხები ბ. ქარუმიძის წინააღმდეგ წამოყენებულ, სხვა, მისი ზნეობის დამამცირებელ ბრალდებებს. ამის შესახებ თვით ისაა ვალდებული პასუხი გასცეს. ეს კია, თუ ზნეობის მხრივ გავსინჯავთ თქვენს რიგებს, ღმერთო შეგცოდნე! რამდენ ჭაჩალ თავს აღმოვაჩინეთ! მე აქ მხოლოდ ერთი მაინტერესებს: — ბ. შალვა ქარუმიძე აგენტია თუ არა ბოლშევიკების? თუ ის აგენტია, მაშინ მას ჩვენს, ქართულ საზოგადოებაში რა უნდა! ის კი, მიუხედავად „ბრძოლის ხმის“ ავტორიტეტული განცხადებისა, ძალიან მიღებული პიროვნებაა ყველა წრეში. არ დაიჯერებთ, თვით „ბრძოლის ხმის“ ასპროცენტთან მიმდევართა შორისაც. ეს კიდევ უფრო აშკარად ამტკიცებს — რამდენად ყოვლად უსუსური, დაუჯერებელი „საბუთებით“ გამოვიდა „ბრძოლის ხმა“ ამისთანა მძიმე ბრალდების დასამტკიცებლად.

ჩემი უღრმესი რწმენაა, ქართულ საზოგადოებრივ აზრს, მის სინიღისს არ შეუძლია გაჩუმდეს. მან უნდა უსათუოდ გაიგოს, დარწმუნდეს, რომ ბ. ქარუმიძე მართლაც აგენტია. „ბრძოლის ხმამ“ ეს უნდა დაამტკიცოს. მაშინ ბ. ქარუმიძეს ქართულ საზოგადოებაში რა უნდა. ან და თუ „ბრძ. ხმამ“ ეს ვერ შესძლო — მაშინ ქართველი საზოგადოების მიერ ის, „ბრძ. ხმის“ მთელი რედაქცია სამარცხვინო ბოძზე უნდა იქმნას გაკრული ამნაირ, ყოვლად შემადრწუნებელი ცილისწამების წამოყენებისათვის. აქ შუა გზა არ არის. გრიშა ურატაძის „ქეც იტყვის, ქეც არ იტყვის“ (ესეც ქართულია რაღა!) აქ ვერ გამოდგება, როგორც მაგალითად ჩემს წინააღმდეგ „ბრძოლის ხმის“ მიერ თავის დროზე წამოყენებული „ბრალდება“, რომ — მაშ ასე: „დავით საღირაშვილისათვის მოგვილოცნია. საღირაშვილი კედისკენ, კედია ქარუმიძისკენ, ქარუმიძე დოლიძესკენ, (რომელიც თურმე არ არსებობდა სინამდვილეში. დ. ს.) და დოლიძე კი ნიჟინი-ნოვგოროდის ბანკისკენ“. როგორ მოგწონთ მკითხველო ამ ჯუჯურის „ბრალდება“ ჩემს წინააღმდეგ? მერე არ იკითხავთ, რატომ ამხედრდა ჩემს წინააღმდეგ „ბრძოლის ხმა“ ასე? არ დაიჯერებთ. მხოლოდ იმიტომ, რომ მე ბერლინის ქართველთა კოლონიის გამგეობის არჩევნების დროს ხმა მივეცი არა სოციალდემოკრატს, არამედ, ჩემის აზრით, კოლონიის საქმეებისათვის უფრო შესაფერ კანდიდატს — ბ. გიორგი კერესელიძეს, რომელსაც მისი კარგი, პირადი ღირსების გამო, ყველა პატივსაცემდა. აი ჩემი ცოდვა რაში გამოიხატა. კმარა ამდენი ხალხის გათითხნა! „ბრძოლის ხმა“ ამ შემთხვევაში სასამართლოს ვერ გაექცევა.



ქართველმა საზოგადოებრივმა აზრმა უნდა მოითხოვოს ბ. შალვა ქარუმძის და „ბრძოლის ხმის“ შორის ქართული — და არა უცხოელი — სასამართლო.

ჯერ კიდევ მე რწმენა არ დამკარგია, რომ ემიგრაციაში მოიპოვებინ ქართველი საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც პირუთენელ მსჯავრს დასდებენ, როგორც ერთ მხარეს, ისე მეორეს. ამ სასამართლოს უნდა გადაეცეს აგრეთვე ბ. ქარუმძის მიერ წამოყენებული ბრალდება განსაზღვრულ პირების წინააღმდეგ, რომ მათ ამა თუ იმ სახით ჩერვონცების გაყალბების საქმეში — პირველ სტადიაში — მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული. ბ. ქარუმძემ ეს უნდა დამტკიცოს თავის მხრივ. ჯერ-ჯერობით მე შესმის მხოლოდ ბრალდება. ეს კია, რომ ის გვიპირდება და მოითხოვს კიდევაც სასამართლოს. ამ სასამართლოს, გრიშა ურატაძის განცხადებით, რომ ნოე რამიშვილი მკვდარია და მაშ აბა ვინ გაჰყვება ბ. ქარუმძესო, ვერ გავექცევით. ნოე რამიშვილი მკვდარია, სამწუხაროდ, მაგრამ ჯერ ერთი — სხვა პირები ცოცხლები არიან და მერე კიდევ საბუთები ხომ მკვდარი არაა. ბ. ქარუმძე ხომ აცხადებს, რომ ის პირუთენელ სასამართლოს წარმოუდგენს ამ საბუთებს. ამ შემთხვევაში რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რამიშვილი ცოცხალი არ არის. არა ბატონებო! ეს ისეთი საშინელი ბრალდებაა თქვენს წინააღმდეგ, რომ თქვენ ასე ადვილად ვერ გავექცევით სასამართლოს. აქაც ორში ერთი: — ან ბ. ქარუმძე ვერ შესძლებს თქვენს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდების დამტკიცებას და მაშინ სასამართლოს მიერ მას სათანადო მსჯავრი დაედება, ან და შესძლებს, და მაშინ თქვენი საქციელიც სათანადოთ დაფასდება. ეს მსჯავრი კი თქვენს წინააღმდეგ ორნაირი იქნება. ერთი იმის გამო, თუ რამდენად ჩვენს ოფიციალურ პირებს უფლება ჰქონდათ ჩერვონცების გაყალბების საქმეში მონაწილეობა მიეღოთ. მეორე მსჯავრი კი უფრო უმძიმეს, საშინელ, გაუფონარ ბრალდების გამო. ეს ის, რომ როცა თქვენ ბ. ქარუმძესთან ეს საქმე, რაღაც მიზეზთა წყალობით, ვერ მოაწყვეთ და მან მარტო თავის რისკით და თაოსნობით განაგრძო ეს საქმე — მაშინ და მხოლოდ მაშინ დაუწყეთ დევნა თქვენს ყოფილს თანამშრომელს. გესმით, ბატონებო, რა ბრალდებაა თქვენს წინააღმდეგ წამოყენებული? ამის შემდეგ, როგორ შეგიძლიათ თქვენ ასე ადვილად ამ საშინელ ბრალდებას გვერდი აუაროთ! მართალი გითხრათ, მე არც მაშინ გავიგე, როცა ბ. ქარუმძის საქმე ირჩეოდა გერმანიის სასამართლოში და არც ახლა ვამიგია, რატომ ასე ნერვიულობდით. ამ ნერვიულობის წყალობით იყო, რომ ბ. ლადო ახმეტელი მოიძულეთ. ვინ, სადა ან როდის გაბრალდებდათ, რომ თქვენ ამ საქმეში მონაწილეობა გქონდათ. ეს ბრალდება მხოლოდ ახლა წამოაყენა ბ. ქარუმძემ, როცა აღარ მოასვენეთ. არა მგონია ეს თქვენს „დიდს ჭკუას მიეწერებოდეს“, როგორც დიდი ილია იტყოდა ხოლმე.



მე თქვენზე ნაკლებ სოციალდემოკრატად არ მიმაჩნდა და არც ახლა მიმაჩნია ჩემი თავი, და წარმოიდგინეთ, სრულიად დადინჯებული ვადენებდი სასამართლოში პროცესის მსვლელობას და მწამდა, რომ მხოლოდ აქ გამოირკვეოდა ბ. ქარუმიძის ვინაობა. ნიორი თუ არ მექამა, პირი რაზე დამეწვებოდა. თქვენი ნერვიულობა ერთი მხრივ და ბ. ქარუმიძის გარკვეული ბრალდება, მეორე მხრივ, მე ჩემს გულს ჭიასავით მიღრღნის, არ მასვენებს. ვეკითხები ჩემს თავს — ნუ თუ მართლა რამე მონაწილეობა ჰქონდა ჩვენს ხალხს? მაგრამ ეს კიდევ ნაკლები ბოროტება იქნებოდა. ბოლშევიკების წინააღმდეგ გამწარებული, რა საშუალებას არ მიმართავს კაცი! ნუ თუ მართლა ბ. ქარუმიძის წინააღმდეგ დევნა იმით აიხსნება, რომ მათ მონაწილეობა ვეღარ მიიღეს? არ მჯერა, არ მინდა დავიჯერო, მაგრამ მით უმეტეს საჭიროა ამ საქმის გამორკვევა — სინათლის მოფენა. იქნებ, სწორედ ამ სასამართლოს წყალობით მიაღწიოთ თქვენს დიდი ხნის წადილს — ბ. ქარუმიძის გაშვებას. ხომ დაინტერესებული უნდა იყოთ, რომ რაშიც თქვენ ერთ წუთითაც ეჭვი არ გეპარებოდათ — ქართველი საზოგადოებისათვისაც უეჭვო გაჰხადოთ? ამიტომ ამ ქართულ სამსჯავროს ვერც თქვენ და ვერც ბ. ქარუმიძე ვერ გაეჭყევიოთ. პირიქით, ის ხომ ამას თხოულობს. მხოლოდ ასეთი სასამართლოა მოწოდებული ქართული საზოგადოებრივი სინიღისი დაამშვიდოს. მომავალმა პირუთენელმა სასამართლომ უნდა გაარკვიოს და თავისი მსჯავრი დასდოს ერთი მხრივ — რამდენად დამტკიცებულია „ბრძოლის ხმის“ რედაქციის ბრალდება, რომ ბ. შ. ქარუმიძე ბოლშევიკების აგენტია, მეორე მხრივ კი — რამდენად მართალია ბ. ქარუმიძის მტკიცება, რომ ზოგიერთი ჩვენი ოფიციალური პიროვნებანი ჩერვონცების გაყალბების საქმეში ამა თუ იმ მონაწილეობას იღებდენ.

ამიტომაც, რომ ვიდრე სრული ქეშმარიტება დღის სინათლეზე არ გამოსულა, მე არ შემიძლია დამშვიდება, არ შემიძლია გავჩუმდე. ამიტომ არის. რომ ვიმაღლებ ჩემს ხმას ამგვარ ბრალდებათა წინააღმდეგ.

დ. ხადირაშვილი . .

ბერლინი, 2. 2. 35 წ.

მიმოხილვა

„**მონატი**“ წარსულ კრებულში შეეხო „სოციალისტური აზრის“ პოზიციას ეროვნული განთავისუფლების საკითხზე და დასწერა: — „სოც. აზრის“ შეხედულებით, საქართველოს განთავისუფლების საქმე დაკავშირებულია მსოფლიოში და თვით რუსეთში დემოკრატიის გამარჯვებასთან, — თუმცა გარკვეული არაა, თუ რომელ დემოკრატიაზეა აქ ლაპარაკი! არის იგი ეხლანდელი, ე. წ. ბურჟუაზიული დემოკრატია, თუ, მომავალი სოციალური დემოკრატია“?! ეხლა კი „სოც. აზრმა“, ი-ს წერტილი დასვა და ამისათვის მაღლობელი ვართ. ჩვენ ეხლა უკვე გარკვეული ვახლავართ, თუ როგორ ფიქრობენ „სოც. აზრის“ მიმდევრები საქართველოს განთავისუფლების საკითხზე. თუ ბ-ნ აკ. ასათიანის წერილი ყველას მიერ გაზიარებულია, ჩვენ ამით უკვე ვიცით, რომ ეხლანდელი, ბურჟუაზიული დემოკრატია სუსტია, და მთელი იმედი „სოციალისტურ დემოკრატიაზე“ უნდა დაეამყაროთ თურმე! აი რასა რასა სწერს ბ-ნი აკ. ასათიანი: — „მას (ქართველ ხალხს) ყავს ერთი მეგობარი, რომელიც მის თავისუფლებას უანგაროდ დაიცავს და არა ბაქოს ნავთისთვის ან სატრანსპორტო გზისთვის. ეს მეგობარი ნამდვილი დემოკრატიაა, დემოკრატია სოციალისტური“.... იმედი გვაქვს აწ განგვიმარტავენ, თუ რა ხილია ან სად არს ან სად იქნება ეს სოციალისტური დემოკრატია, რომელიც თურმე ქართველი ერის ნამდვილი მეგობარი ყოფილა!

ქართული ბექდვითი სიტყვის ისტორიაში მეტად აღსაშფოთებელი ამბავი მოხდა, — მოხდა ისეთი რამ, რაც ქართული პრესის თავგადასავალმა არ იცის: — გაზეთმა „მომავალმა“ გამოაქვეყნა კერძო ხასიათის წერილი, პირადი ბარათი და ამ აქტით მან ლაფი გადაასხა ქართული პრესის ტრადიციას, რომელსაც მთელ თავის ისტორიაში საზოგადოებრივი ზნეობის დროშა ყოველთვის მაღლა ეჭირა. —

უადგილობის გამო მიმოხილვის დანარჩენი ნაწილი ვერ იბეჭდება.

„**მონატი**“-სა და „**თითრი ბიორგი**“-ს ორგანიზაციები გაერთიანდნ. დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ „**თითრი ბიორგის**“ მორიგ ნომერში.

კრებული „**მონატი**“-ს გამოცემა გაგრძელდება.

ფული და მასალები უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: —

M' AKAKI CHAVGOULIDZE
50, Rue Vauthier, Boulogne-sur-Seine, France.

